ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

გიორგაძე სალომე

გენდერული სტერეოტიპების როლი ცოლ-ქმრულ წყვილთა შორის კონფლიქტებში (სოფელ კუმისის მაგალითზე)

კონფლიქტების ანალიზი და მართვა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია კონფლიქტოლოგიის მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი:

რევაზ ჯორბენაძე

ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2018წ.

ანოტაცია

კონფლიქტი, როგორც სოციალური ფენომენი, ადამიანის ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. კონფლიქტების მართვა თანამედროვე მსოფლიოში ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება, ვინაიდან კონფლიქტის მართვა საჭიროებს მულტიდისციპლინურ ცოდნას კონფლიქტის გამომწვევი მიზეზების, ხელშემწყობი ფაქტორებისა და მასში ჩართული საზოგადოებრივი ჯგუფების შესახებ. (ზურიკაშვილი, 2002)

კონფლიქტის გამოწვევას სხვადასხვა მიზეზი შეიძლება ედოს საფუძვლად და მისი განხილვა ხდება როგორც ინდივიდუალურ, ასევე კოლექტიურ დონეებზე. ცოლ-ქმრულ ურთიერთობებში გაჩენილი კონფლიქტები კონფლიქტის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს და თანამედროვე მკვლევარები მის გამომწვევ ყველაზე გავრცელებულ მიზეზად გენდერულ სტერეოტიპებს ასახელებენ. აღსანიშნავია ისიც, რომ გენდერულ ნიადაგზე გაჩენილი კონფლიქტები ხშირად ძალადობით, რიგ შემთხვევებში კი ცოლ-ქმრულ წყვილში ერთ-ერთის სიცოცხლის აღკვეთით სრულდება. (საიმონ ფიშერი, 2000)

ამ ნაშრომის მიზანია გამოიკვლიოს სოფელ კუმისში ცოლ-ქმრულ წყვილებს შორის არსებული კონფლიქტები და დაადგინოს : 1. რა უდევს საფუძვლად აღნიშნულ კონფლიქტებს და 2. როგორ სურათს იძლევა ცოლ-ქმრული წყვილების შეჭიდულობა აღნიშნულ სოფელში. ამასთანავე, ნაშრომი განიხილავს ზემოხსენებული ტერიტორიული ერთეულის საზოგადოებრივ გარემოს კერძოდ კი სოფლის მდებარეობას, მოსახლეობაში არსებულ კულტურულ თავისებურებებსა დასაქმების შესახებ ინფორმაციას, რამდენადაც აღნიშნული ფაქტორები კორელაციაშია კვლევის მიზანთან.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 200 -მა ადამიანმა. (100 ქალი, 100 კაცი) კვლევისთვის გამოყენებული იქნა 2 კითხვარი და 15 სიღრმისეული ინტერვიუ. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ: 1. სოფელ კუმისში ცოლ-ქმრულ წყვილთა შორის კონფლიქტები ხშირია, რასაც ძირითადად საფუძვლად უდევს გენდერული სტერეოტიპების

არსებობა საზოგადოებრივ ჯგუფებში და ამასთანავე, 2. ცოლ-ქმრული შეჭიდულობის დონე მაღალია. ნაშრომი ამტკიცებს, რომ მიღებული შედეგები შეიძლება განზოგადდეს საქართველოს სხვა რეგიონებზეც.

საკვანძო სიტყვები: *კონფლიქტი, ცოლ- ქმარი, სტერეოტიპები, ძალადობა.*

Anotation

Conflict as a social phenomenon represents an integral part of human life. Conflict management remains one of the most overriding challenges in the modern world and it requires multidisciplinary approaches to study the causes of a conflict, its supporting factors and the communities or individuals, involved in a conflict.

There are many causes of a conflict and they can be discussed on individual or collective level. Conflict in marriage is one of the types of a conflict. Based on the modern scholars, gender stereotypes often lead to the emergence of disagreement between the couple and it results in different forms of discrimination and in some cases even in death.

The aim of this work is to study the conflicts, emerged in marital relationship between the couples of the village Kumisi and demonstrate- Firstly, What is a leading factor of the conflicts? Secondly, on what level are the couples paired up on one another? In additionthe work illustrates the social environment of the aforementioned territorial unit, mainly – the location of the village, information about employment and cultural peculiarities of the local population, as these factors correlate to the object of the study.

200 people were participated in the study. (100 women, 100 man). Two questionnaires and 15 in-depth interviews were used for research. The study revealed that: 1. Conflicts between the couples in marital relationship are mostly caused by the gender determined stereotypes and 2. The level of pairing is high among the couples.

KEY WORDS: *Conflict, marital relationship, couple, stereotypes, violence.*

სარჩევი

შესავალი 7

კვლევის მიზანი: 11

კვლევის მეთოდი 12

ლიტერატურული მიმოხილვა : 13

1.კონფლიქტის ძირითადი ცნებები 18

2. სტერეოტიპები 19

3. გენდერული ძალადობა. 21

4. კუმისის მდებარეობა 25

5. ოჯახის ტიპები 27

5.1 მეუღლეთა მიკუთვნება გარკვეულ სოციალურ ერთობებში: 28

5.2 მმართველობის სტრუქტურა ოჯახში: 28

6. ოჯახის განვითარების პერიოდები და ფუნქციები 31

7. ოჯახის ფუნქციები 33

8. ცოლ-ქმრული კონფლიქტების კლასიფიკაცია 35

9. ოჯახური კონფლიქტების გამომწვევი ფაქტორები ადაპტაციის პერიოდში 37

10. კვლევის შედეგების ანალიზი 39

10.1 ქალი ოჯახში 39

10.2 ოჯახთან დაკავშირებული ღირებულებები, წარმოდგენები, დამოკიდებულებები..... 40

10.3 ძალაუფლების იერარქია ოჯახის შიგნით..... 43

10.4 დასაქმება 45

10.5 კაცი და ქალი პოლიტიკაში - შედარებითი ანალიზი..... 48

10.6 გართობა 50

10.7 ქალი საჭესთან..... 50

10.8 რძალ-დედამთილის ურთიერთობა..... 51

10.9 „ზნეობა“..... 52

11. დასკვნა..... 55

12. რეკომენდაციები 58

12.1 როგორ დავძლიოთ კონფლიქტი ოჯახში, ცოლ-ქმარს შორის..... 58

Bibliography..... 60

შესავალი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, 2007-2014 წლების (იანვარ-ივნისი) გამოვლინდა 4 935 ოჯახური კონფლიქტი და ამ კონფლიქტებში მონაწილე 10 188 პირი. ამავე პერიოდში, 47,2% ფიზიკური, 42,8% ფსიქოლოგიური, 4,7% ეკონომიკური, 2,2% იძულების, 1,4% სექსუალური და 1,7% სხვა ოჯახური ძალადობის სახეები დაფიქსირდა. ამავე მონაცემებით, 2018 წლის 1 იანვრიდან დღემდე, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, მთელი საქართველოს მასშტაბით, ოჯახური დანაშაულის ჩადენის ბრალდებით 855 პირი დააკავეს. ბრალდებულთა ძირითადი ნაწილი დაკავებულ იქნა ოჯახში ძალადობის, ოჯახის წევრის მიმართ განხორციელებული მუქარის, იძულებისა და ჯანმრთელობის დაზიანების ბრალდებით. (სამინისტრო შ. ს.)

აღნიშნული მონაცემები აჩვენებს, რომ ოჯახური ძალადობა და მათ შორის ცოლქმრული ურთიერთობების შედეგად გაჩენილი ძალადობა სხვადასხვა ფორმებით ვლინდება. ცოლ-ქმრული კონფლიქტების კვლევამ ბოლო ათწლეულების განმავლობაში ოჯახის კვლევებში მნიშვნელოვან საფეხურს მიაღწია. თანამედროვე მსოფლიოში, ცოლ-ქმრული კონფლიქტებით სიღრმისეულმა დაინტერესებამ საფუძველი დაუდო მრავლრიცხოვან კვლევებს, რომლებიც სწავლობდნენ ოჯახის წევრთა ქცევას კონფლიქტის დროს (ნ.ნ. კოროსტილევა, 2005, (ს.ვ. კოვალევი, 1987; ტ.ა. კრუკოვა, მ.ვ. საპოროვსკაია, ე.ვ. კუფტიაკი, 2005; ნ.ვ. მალიაროვა, 1984; გ. ნავაიტისი, 1999; ბ.გ. ხერსონსკი, ს.ვ. დვორიაკი, 1991; ს.გ. შუმანი, ვ.პ. შუმანი, 1992, გაეროს მოსახლეობის პონდი, unicef). მიუხედავად იმისა, რომ დაგროვილი ცოდნისა და კვლევების შედეგად მიღებული შედეგების საფუძველზე მკვლევარებმა კონფლიქტის მართვის ახლებური სტრატეგიები შეიმუშავეს, ოჯახურ ურთიერთობებში კონფლიქტების მოგვარება კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. (ი.ე. ალიოშინა ი.ი. ბორისოვი, 1993) (ფონდი გ. მ.)

ოჯახი, თავისი საციცოცხლო ციკლის მანძილზე იმყოფება განვითარების პროცესში, რის გამოც ხშირად იქმნება გაუთვალისწინებელი სიტუაციები, რომელთა მართვა

დამოკიდებულია ოჯახის წევრთა რეაგირებაზე, ტემპერამენტზე, ხასიათსა თუ პიროვნულ მახასიათებლებზე. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ოჯახი წარმოადგენს სოციალური ერთობის იმ უმცირეს არენას, სადაც პიროვნებათაშორისი კონფლიქტები იჩენს თავს და ამ კონფლიქტების წარმოშობის პოტენციური წყაროები ოჯახში ყოველთვის არსებობს ((ი.ე. ალიოშინა, ი.ი. ბორისოვი, 1993; კ. ვიტეკი, 1988; ვ.ზ. ვლადინი, დ.ზ. კაპუსტინი, 1991; ლ.ი. გოზმანი, ი.ე. ალიოშინა, 1987, უზნაძის განწყობის თეორია) (უზნაძე, 2007), (ი.ე. ალიოშინა ი.ი. ბორისოვი, 1993)

თანამედროვე ვითარება აჩვენებს, რომ საქართველოში, ცოლ-ქმრული და ოჯახური კონფლიქტები ხშირად იჩენს თავს და მნიშვნელოვან პრობლემებს ქმნის საზოგადოებაში. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ცენტრის კვლევაში, 2006-2015 წლებში, განქორწინებათა მზარდი მაჩვენებლები ფიქსირდება

	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
განქორწინებათა რაოდენობა	2 060	2 325	3 189	4 030	4 726	5 850	7 136	8 089	9 119	9 112

(საქსტატი)

წყვილთა შორის ქორწინება ხშირად განქორწინებით მთავრდება, რასაც ძირითად შემთხვევებში, წინ უძღვის ოჯახის წევრების წარუმატებელი მცდელობები თავი აარიდონ, ან გადაჭრან კონფლიქტები. (ფირცხალავა, 2008.)

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-3 მუხლის მიხედვით (2003წ) , ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. (საბჭო ს. უ., 1991) ასევე ყველას აქვს აზრის გამოხატვის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, გააჩნდეს საკუთარი შეხედულება, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია ან იდეები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. (საბჭო ე. , 2009) მაგრამ ზოგიერთი ადამიანი, ვერ ახერხებს საკუთარი აზრის დაცვას და სხვისი ზეგავლენის ქვეშ ექცევა, რაც ხშირად მთელი ცხოვრების მანძილზე გრძელდება. ასეთი ადამიანი, სხვადასხვა

სიტუაციაში არჩევანს სხვისი აზრის სასარგებლოდ აკეთებს, თრგუნავს საკუთარ შეხედულებებს, დამოკიდებულია გარემოზე, კერძოდ კი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს რას აკეთებენ და ლაპარაკობენ სხვები მასზე. სხვადასხვა ფსიქოლოგიური ფაქტორების გავლენით მსგავსი ტიპის ადამიანებში იდენტობა და პირადი სივრცე დარღვეულია. თვითგამოხატვის შემცირების ფონზე იზრდება სტერეოტიპული დამოკიდებულებები. (ბენდელიანი, 2012) უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აღნიშნულ რისკ ჯგუფში მოქცეული ადამიანები ხშირად გენდერული კონფლიქტებისა და ძალადობის მსხვერპლნი ხდებიან, (თსუ-ს სტუდენტის მკვლელობა, ყოფილი მეუღლის მხრიდან.http://www.tabula.ge/ge/story/95247-kofili-colis-mkvlelobashi-braldebul-policiels-11-tslianipatimroba-miesaja, ილიას უნივერსიტეტის პროფესორის მკვლელობა ყოფილი მეუღლის მხრიდან... http://www.tabula.ge/ge/story/88731-iliasuniversitetis-leqtori-romelsac-kofilma-qmarma-esrola-gardaicvala , http://www.myvideo.ge/v/2431390) რაც პოტენციურ მსხვერპლს ართმევს მთავარ თავისუფლებას და უზენაეს უფლებას - სიცოხლეს.

საქართველოში, გავრცელებულია გენდერული თანასწორობის შესახებ შექმნილი სტერეოტიპები, რაც ბევრ პრობლემას წარმოშობს. (ბენდელიანი, 2012) აღნიშნულ საკითხზე ხშირად იმართება დებატები საჯარო სივრცეში, სხვადასხვა აქტორები გამოთქვამენ საკუთარ შეხედულებებს და ქმნიან ახალ დისკურსს, რომელშიც წინააღმდეგობრივაადაა შეთავსებული სხვადასხვა საკითხები. დებატების მონაწილენი ვერ თანხმდებიან, გენდერულ საკითხებზე, რადგან ეს არის თემა, რომლის ირგვლივაც კამათის დასრულება რთულია (ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის მიერ ორგანიზებულ დისკუსია თემაზე :„რატომ არ არის ქალი კაცის თანასწორი საქართველოში?“, https://ge.boell.org/ka/2014/03/25/ratom-araris-kali-kacis-tanascori-sakartveloshi-sajaro-diskusia-batumshi , ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიუროს საჯარო დისკუსია :„ ისმის ქალის ხმა? https://ge.boell.org/ka/2015/12/03/ismis-kalis-xma-kalta-mozraobebis-ganvitareba sakartveloshi , ქალთა მოძრაობების განვითარება საქართველოში“, 2015-16 წ.; სახალხო დამცველის ინიციატივით გამართულ საჯარო დებატები „თვითმმართველობის არჩევნები და გენდერული პოლიტიკა“

http://www.parliament.ge/ge/saparlamentosaqmianoba/komisiebi-da-sabchoebi-8/genderuli-tanasworobis-sabcho/news-gender/sadjarodebatebi-tvitmmartvelobis-archevnebi-da-genderuli-politika.page, 2017 წლის 2 ოქტომბერი) .

გენდერული სტერეოტიპებით აზროვნება ხშირ შემთხვევაში ძალადობის მიზეზი ხდება. ძალადობა არის ყოველგვარი ქმედება ან სიტყვა, რომელსაც შეუძლია ადამიანი შეურაცხჰყოს, ზიანი მოუტანოს მას ან შეულახოს კანონით მინიჭებელი ულებები. ძალადობის დროს ითრგუნება ადამიანის ნება, შელახულია მისი ხელშეუხებლობა, ღირსება, და თავისუფლება, რაც ადამიანის განუყოფელი უფლებებია (ლექსიკონი ე. , nplg.gov.ge) (CSS, 2007). გენდერული სტერეოტიპებით გამოწვეულ ძალადობის შესახებ ინფორმაცია ხშირად შუქდება ქართულ მედიაშიც. ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, რომ გენდერული სტერეოტიპებით გამოწვეული კონფლიქტები (გურჯაანში, 32 წლის ქალი, ყოფილმა მეუღლემ ქუჩაში სასტიკად ცემა; მაგდა პაპიძის საქმე, იმერეთში 15 წლის ცოლზე მეუღლის მუდვივი ძალადობა,) რიგ შემთხვევებში, დიდი სისასტიკით სრულდება და ხაზს უსვამს გენდერულად განსაზღვრული კონფლიქტების პრობლემის სიმწვავეს, სახელმწიფოს ინერტულობასა და საზოგადოების ჩაურევლობას აღნიშნული პრობლემის მოგვარების პროცესში.

გაეროს ფონდის მიერ ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის შესახებ ჩატარებული ეროვნული კვლევის თანახმად, ქორწინებაში მყოფი ყოველი მე-11 ქალი საქართველოში აღიარებს, რომ გამხდარა მეუღლის მხრიდან ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი. ქალთა 34% კი ქმრის მიერ ცოლის ცემას გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებად მიიჩნევს. ქალთა 50 % ფიქრობს, რომ ცოლი ქმარს უნდა უჯერებდეს იმ შემთხვევაშიც კი, თუ არ ეთანხმება მას. კვლევა ქმრის ან პარტნიორის მიერ ქალის კონტროლის სხვა ფორმებზეც ამახვილებს ყურადღებას. მაგალითად, ქალთა 11 %-ს, ქმრის ნებართვა სჭირდება ექიმთან წასასვლელად, ქალთა 29%-ს კი, იმის გამო, ქმრის მიერ დაწესებული აკრძალვების გამო, საკუთარ მშობლებთან ურთიერთობა არა აქვს. (ფონდი გ. მ.)

შესაძლოა კონფლიქტები ოჯახში ბუნებრივი, გარდაუვალი, აუცილებელი და ნორმალური პროცესი იყოს, მაგრამ ხშირად პრობლემას არა კონფლიქტის არსებობა, არამედ კონფლიქტისადმი მიდგომა წარმოადგენდეს. ის, თუ როგორ აღიქვამენ ოჯახის წევრები კონფლიქტს, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს პრობლემის პოზიტიურად გადაწყვეტის შესაძლებლობას.

ცოლ-ქმრული კონფლიქტებისადმი ინტერესი ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა მეცნიერების სხვადასხვა სფეროს როგორც თეორეტიკოსების, ასევე პრაქტიკოსების მხრიდან ეს ინტერესი გამოწვეულია იმით, რომ ოჯახი ასრულებს ცენტრალურ როლს სრულფასოვანი პიროვნებისა და მოქალაქის ჩამოყალიბებაში, შესაბამისად გავლენას ახდენს საზოგადოების მომავალზე (ბენდელიანი, 2012).

აღნიშნული კვლევის ფარგლებში ჩატარდა კლევა სოფელ კუმისის მოსახლეობაში, ცოლქმრული წყვილებში, ნაშრომში ასევე შემოთავაზებულია დარგის ექსპერტების, ფსიქოლოგებისა და იმ ადამიანების შეფასებები, რომლებსაც აქვთ შესაბამისი ცოდნა ცოლ-ქმრული კონფლიქტებისა და გენდერული სტერეოტიპების ურთიერთქმედებასთან დაკავშირებით. კვლევის საგანს წარმოადგენს ურთიერთობები, დამოკიდებულებები და ცნობადობა, რაც არსებობს სოფელ კუმისში მცხოვრებ ცოლ-ქმრულ წყვილს შორის ოჯახურ კონფლიქტებსა და გენდერულ სტერეოტიპებთან მიმართებით.

კვლევის მიზანია: საზოგადოების ცნობადობის, დამოკიდებულების და იმ გენდერული სტრეოტიპების შესწავლა, რომლებიც იწვევს კონფლიქტს ცოლ-ქმრულ წყვილს შორის.

აღნიშნულ ნაშრომში დასახული მიზნის მისაღწევად შემდეგი კვლევითი **ამოცანები** დაისვა:

➢ სოფელ კუმისში მცხოვრები ცოლ-ქმრული წყვილების კულტურის, ტრადიციებისა და ფსიქოსოციალური მახასიათებლების გათვალისწინებით შეგვექმნა კითხვარი, რომელიც ცოლ-ქმრული შეჭიდულობისა და ადაპტაციურობის განზომილებების დიაგნოზირებისა და შეფასებებისათვის განსაკუთრებული ცნებებისა და ცვლადების გამომხატველი იქნებოდა;

➢ ჩვენს მიერ შემუშავებული კითხვარის საშუალებით განგვესაზღვრა, წყვილებში კონფლიქტების პროცესში თუ რა როლი აქვს გენდერულ სტერეოტიპებს, ადაპტირებისა და შეჭიდულობის (კოჰეზიურობის) ფაქტორს;

➢ჩატარებული კვლევის საფუძველზე წარმოგვეჩინა ცოლ ქმრულ წყვილთა შორის ყველაზე გავრცელებული გენდერული სტერეოტიპები;

➢ მოგვეხდინა ცოლ-ქმრულ წყვილთა შორის კონფლიქტების ანალიზი;

➢განგვესაზღვრა საზოგადოების ცნობადობა, ოჯახურ კონფლიქტებსა და გენდერულ სტრეოტიპებთან მიმართებით;

➢ შეგვემუშავებინა რეკომენდაციები აღნიშნული პრობლემის გადაჭრისათვის;

კუმისის მოსახლეობაში არსებული ვითარების შესწავლა იძლევა გარკვეულ სურათს ოჯახურ კონფლიქტებსა და გენდერულად განსაზღვრულ სტერეოტიპებთან მიმართებით არსებული პრობლემის შინაარსობრივ და თვისობრივ მხარეზე, რაც შემდგომში დაგვეხმარება ამ მიმართულებით პრიორიტეტების განსაზღვრასა და პრობლემასთან ბრძოლის ეფექტური გზების დასახვაში.

კვლევის მეთოდი მოიცავს როგორც თვისობრივ, ისე რაოდენობრივ მეთოდებს. საკვლევი თემიდან გამომდინარე რესპოდენტთა გამოკითხვა სიღრმისეული ინტერვიუსა და სპეციალური კითხვარების საშუალებით ჩატარდა. სიღრმისეული ინტერვიუ მშვიდ გარემოში წარიმართა, რამაც მომცა შედარებით მეტი ინფორმაციის მიღების საშუალება, დამატებითი შეფერხების გარეშე. სიღრმისეული ინტერვიუს დროს რესპოდენტები იყვნენ წინასწარ გაფრთხილებულნი, რომ გამოყენებული იქნებოდა აუდიო ფირი, რადგან ჩანაწერების დროს არ დაკარგულიყო მნიშვნელოვანი ინფორმაცია. ვინაიდან სოფელ კუმისის მაცხოვრებელთა რაოდენობა მოიცავს 2000 ადამიანს, სიღრმისეული ინტერვიუს სახით გამოვკითხე 15 მაცხოვრებელი, ხოლო ანკეტრირების გზით 200. გარდა სიღრმისეული ინტერვიუსა და რაოდენობრივი გამოკითხვისა, კვლევისთვის გამოკითხულია ასევე 8 ექსპერტი და ფსიქოლოგი, რომლებმაც გაგვიზიარეს საკუთარ შეხედულებები და გამოცდილებები.

ლიტერატურული მიმოხილვა :

კონფლიქტები და მასთან დაკავშირებული საკითხები ძალზე აქტუალურია თანამედროვე საზოგადოებისთვის, ვინაიდან კონფლიქტები გვხვდება ადამიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყველა სფეროში. ისინი მნიშვნელოვნად არღვევენ, ან შლიან ადამიანთათვის ჩვეული სოციალური ორგანიზაციის სივრცეს, აღწევენ ცალკეული ადამიანების ცხოვრებაში - ოჯახში, ცოლ-ქმრულ ურთიერთობებში და ინტენსივობისა და მიზეზების გათვალისწინებით იწვევენ სხვადასხვა შედეგებს. (საიმონ ფიშერი, 2000)

კონფლიქტების განხილვა არ შეიძლება მოხდეს მხოლოდ ერთი პერსპექტივიდან, რამდენადაც ბევრი ფაქტორი ახდენს გავლენას კონფლიქტების წარმოშობასა და განვითარებაზე, როგორც ინდივიდუალურ ასევე კოლექტიურ დონეებზე. ამდენად კონფლიქტების შესწავლა ხდება პოლიტოლოგიის, სოციოლოგიის, ეკონომიკის, იურისპრუდენციის, პედაგოგიკისა და, რა თქმა უნდა, ფსიქოლოგიის კუთხით. კვლევის ფსიქოლოგიური რაკურსი, მიმართავს რა ადამიანის ორგანიზაციის სიღრმეებს, საშუალებას გვაძლევს შევაღწიოთ თვით კონფლიქტების არსში - მათი მიზეზობრივი ველი, წარმოქმნის მექანიზმი, განვითარების სუბიექტური ველი და სხვ. ითვალისწინებს რა მოცემული ფენომენოლოგიის შინაგან კანონზომიერებებს, ხელს უწყობს ხელს კონკრეტულ ადამიანებს შორის საკითხების ფართო სპექტრზე, მათ შორის, ცოლ-ქმრული ურთიერთქმედების სფეროში წარმოქმნილი კონფლიქტების არსის გააზრებას. (ზურიკაშვილი, 2002)

ფსიქოლოგიაში კონფლიქტის კატეგორიას გააჩნია შესწავლის საკმაოდ მდიდარი ისტორია. აღნიშნული ფსიქოლოგიური მოვლენის სხვადასხვა ფორმების განხილვას მიმართავდნენ დასავლური ფსიქოლოგიის პრაქტიკულად ყველა მეცნიერული სკოლისა და მიმდინარეობის წარმომადგენლები (ა. ადლერი, დ. დოლარი, დ. კრეჩი, გ. ლებონი, კ. ლევინი, კ. ლორენცი, უ. მაკ-გუგალი, ნ. მილერი, ს. სიგელი, ზ. ფროიდი, კ. ჰორნი და სხვ.). (Aadler, 1907) (Krech, 1948)

ცოლ-ქმრული ურთიერთობების სფეროში წარმოქმნილი კონფლიქტების კვლევები საკმაოდ პრობლემატურია, ამასთანავე, მოცემული პრობლემის აქტუალობა განაპირობა მკვლევარების მიმართვამ მისი სხვადასხვა ასპექტებისადმი. არსებობს ცალკეული კვლევები, რომლებიც მიძღვნილია

მამაკაცსა და ქალს შორის (ნ.ნ. კოროსტილევა, 2005), (A., 2005)

ოჯახის წევრებს შორის წარმოქმნილი კონფლიქტების პრობლემებისადმი (ს.ვ. კოვალევი, 1987; ტ.ა. კრუკოვა, მ.ვ. საპოროვსკაია, ე.ვ. კუფტიაკი, 2005; ნ.ვ. მალიაროვა, 1984; გ. ნავაიტისი, 1999; ბ.გ. ხერსონსკი, ს.ვ. დვორიაკი, 1991; ს.გ. შუმანი, ვ.პ. შუმანი, 1992). (ა.კოვალევი, 1987) (MALIAROVA)

რიგი კვლევები მიმართულია ცოლ-ქმრის პიროვნებათაშორისი ურთიერთობების თავისებურებების დადგენისკენ (ი.ე. ალიოშინა, ი.ი. ბორისოვი, 1993; კ. ვიტეკი, 1988; ვ.ზ. ვლადინი, დ.ზ. კაპუსტინი, 1991; ლ.ი. გოზმანი, ი.ე. ალიოშინა, 1987). (Борисов) (Гозман, 1987)

ამასთანავე, ცოლ-ქმარს შორის წარმოქმნილი კონფლიქტების ფსიქოლოგიური ასპექტები განიხილებოდნენ, ძირითადად, მათ სოციალურ-ფსიქოლოგიურ ასპექტში (ვ.პ. ლევკოვიჩი, ო.ე. ზუსკოვა, 1985; ვ.ფ. მუჰამედჯანოვა, 2006) და სხვა. (Klekovich, 1930) (Zuskova, 1985)

ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში ინგლისელი მწერალი, ფილოსოფოსი და ქალთა უფლებების დამცველი მერი უოლსტენკრაფტი დაუპირისპირდა ქალის ბუნების, აზროვნების, უნარებისა და დანიშნულების შესახებ არსებულ მოძველებულ შეხედულებებს. ნაშრომში „ქალის უფლებების დაცვა“(1792) ცენტრალურია აღზრდის სისტემა, რომელმაც ჟან ჟაკ რუსოს მიხედვით, ვაჟები სახელწიფო მოღვაწეებად, მოქალაქეებად უნდა მოამზადოს, ხოლო გოგონები - დედებად და ცოლებად. ავტორი საკუთარ პოზიციას შემდეგ არგუმენტებზე აფუძნებს: პირველი - ქალების ნაკლებად განვითარებული აზროვნების უნარი მათი სქესის ბუნებრივი ნიშანი კი არ არის, არამედ მაღალი კლასის წარმომადგენელი ქალების პატივმოყვარეობის შედეგია. მათ ურჩევნიათ „დაატკბონ მამაკაცი“საკუთარი სიკეკლუცით, სინაზით , ვიდრე - აიღონ წიგნი და გონება ავარჯიშონ. მეორე -

გონიერება ქალებსა და მამაკაცებს ერთნაირად ახასიათებთ. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ქალებს მისი განვითარების ნაკლები საშუალება და უფლება აქვთ. მესამე - ადამიანის სათნოება/ზნეობა სქესით განპირობებული ვერ იქნება. დედის/ცოლის თავისთავადი სათნოება/ზნეობრიობა მამაკაცებმა მოიგონეს იმისთვის, რომ ქალები დაიმორჩილონ, უმანკოების საბურველით შემოსონ და შეზღუდონ მათი ასპარეზი. მეოთხე - ქალი, რომელმაც მხოლოდ მორჩილება იცის და არ არის თავის არჩევანში თავისუფალი, ვერ იქნება კარგი აღმზრდელი. მხოლოდ განათლებულ ქალს შეუძლია ღირსეული შთამომავლობის/კულტურის კვლავწარმოება. (Willstonecraft, 1978)

მილი, თავის ნაშრომში „ქალის დაქვემდებარებულობა“ ქალის მენტალური, სოციალური, პოლიტიკური დაქვემდებარების საფუძველს იმაში ხედავს, რომ იგი მამისეულ და ქმრის სახლში ეკონომიკურად დამოკიდებულია მამაკაცზე. სანამ იგი თავისუფლად არ აირჩევს საქმიანობის სფეროს და ოჯახს ეკონომიკური აუცილებლობის გამო შექმნის, მანამ არაფერი შეიცვლება (Mill, 1861)თვით მილის მეუღლეც , ჰარიეტ ტეილორი თავის არანაკლებ საინტერესო წიგნში „ქალთა განთავისუფლება მსგავსად ხედავს ქალის ეკონომიკური აქტიურების მნიშვნელობას:

„გათხოვილი ქალს შემოსავალი უნდა ჰქონდეს მაშინაც კი, როცა ეს თანხა საერთო-საოჯახოს უმნიშვნელოდ ზრდის. ამ გზით ქალი მოსამსახურის პოზიციიდან პარტნიორამდე მაღლდება..“ (Taylor H. , 1983)

სწორედ ასე ფიქრობდა ოლიმპია დე გუჟი და მოუწოდებდა ქალებს გაეღვიძათ და გააქტიურებულიყვნენ საკუთარი უფლებების დასაცავად.

„ქალებო, გაიღვიძეთ... აღმოაჩინეთ თქვენი უფლებები. ბუნების ძლევამოსილი იმპერია უკვე აღარ არის გარემოცული ცრურწმენებით, სტერეიტიპებით, ფანატიზმით, განსჯამდელი შეხედულებებითა და სიცრუით... “. მან ქალებისთვის „ქალისა და მოქალაქე ქალის უფლებათა დეკლარაცია“ დაწერა. ნაშრომში გაანალიზებულია პოლიტიკური მონაწილეობის საკითხი, როგორც აუცილებლობა თავისუფლების, საკუთრების უფლების, უსაფრთხოების მოსაპოვებლად და ჩაგვრისადმი წინააღმდეგობის გაწევის საშუალება. (Gouges, 1980)

ნათელია რომ საუკუნეების წინ დაიწყო და გრძელდება ადამიანის, კერძოდ ქალთა უფლებებეის დაცვა, ძალადობის გამოაშკარავება და გენდერულ სტერეოტიპებთან ბრძოლა. ნაშრომის ასევე ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს გაეროს ქალთა ორგანიზაციის გენდერული თანასწორობის და ქალთა გაძლიერების ფონდის (UN Women) კვლევა, რომელშიც ასახულია ოჯახური ურთიერთობები, ძირითადად ცოლ-ქმარს შორის: მათ შორის დამოკიდებულება, შეჭიდულობა/ადაპტაცია და კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები. მკვლევარი აღწერს ოჯახებს, მათ სოციალურ,-ეკონომიკურ მგომარეობას, განათლების დონეს და ცოლ-ქმარს შორის დამოკიდებულებას. კვლევის შედეგად დადგინდა რომ ცოლ ქმარს შორის კონფლიქტის სხვა უამრავ მიზეზს შორის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა გენდერულ სტერეოტიპებს, დამოკიდებულებებს და ერთმანეთთან შეჭიდულობას. (ფონდი გ. ქ., 2015)

რუსი ფსიქოანალიტიკოს/ფსიქოლოგი ჩერნიკოვი თავის ნაშრომში „სისტემური ოჯახის თერაპია“ გამოყოფს ოჯახის, ტიპებს და ცოლ-ქმარს შორის მიკუთვნებულობას. ის აღნიშნავს რომ რომელიმე სიტემის გადაჭარბება/ გაზვიადება ან ცოლ- ქმრის ერთმანეთთან ზედმეტად მიკუთვნებულობა იწვევს კონფლიქტს მათ შორის. (A.B., 2001) იგივე მოსაზრებას გამოხატავს რუსი მწერალი და ფსიქოლოგი გრიშანა ნატალია ვლადიმიროვნა თავის ნაშრომში „კონფლიქტის ფსიქოლოგია“ , სადაც ის გამოყოფს ოჯახის სტრუქტურებს, (პატრიარქალური ოჯახი, მატრიარქალური ოჯახი, ნეოპატრიარქალური, ნეომატრიარქალური, ეგალიტარული ოჯახი) ოჯახური ფუნქციების შესრულების ხარისხსა და ოჯახური პრობლემების პროდუქტიულად გადაწყვეტის უნარს. ის იზიარებს ჩერნოკოვის მოსაზრებებს და აღნიშნავს რომ რომელიმე სტრუქტურის გადაჭარბებულად ან მცირე დოზით ამოქმედება იწვევს სერიოზულ კონფლიქტს ოჯახში და ცოლ-ქმარს შორის. ოჯახი ეს არის ცოცხალი ორგანიზმი, მთლიანობა, სადაც ყველა სტრუქტურა უნდა მუშაობდეს დაბალანსებულად და შეთანხმებულად. (Гришина, 2008)

ცოლ- ქმარს შორის კონფლიქტის ერთ ერთი მთავარი გამომწვევი მიზეზი არის ოჯახის ფუნქციების არასწორად გადანაწილება. ამ საკითხებზე საუბრობს ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ეკატერინე ფირცხალავა თავის ნაშრომში

„ოჯახის წევრთა ურთიერთაღქმის თავისებურებანი“, სადაც ის იზიარებს ამერიკელი ანთროპოლოგის ჯორჯ მურდოკის მოსაზრებას და გამოყოფს ოჯახის ძირითად ფუნქციებს და მის მიერ ჩატარებული კვლევა ცხადყოფს, რომ ცოლ-ქმარს შორის არასწორად გადანაწილებული ფუნქცია-მოვალეობები, და ამ უკანასკნელთან დაკავშირებული სტერეოტიპები ნამდვილად იწვევს მათ შორის კონფლიქტს, დაძაბულობას და ხშირ შემთხვევაში ძალადობას. (ფირცხალავა, 2008.)

ამერიკელი პროფესორი, მეთოლოგი და ანალიტიკოსი მარტინ კნაფი აღნიშნავს რომ კონფლიქტის მიზეზების გამოყოფა რთულია. ცოლ-ქმრულ ურთიერთობებში, შესაძლოა დადგინდეს მხოლოდ ის სპეციფიკურად პრობლემური მახასიათებლები, რომელიც ინტენსიურად ვლინდება და კონფლიქტის წარმომქმნელ ფაქტორებად მიიჩნევა. ესენია: ფინანსური საკითხები, თავისუფალი დროის გატარება, პიროვნული თვისებები, შვილების აღზრდა, საშინაო პასუხისმგებლობები, კარიერა, ახლო ნათესავები, მეგობრები და ინტიმური საკითხები. კნაფის მიხედით კონფლიქტები ცოლ-ქმარს შორის ორი მნიშვნელოვანი ფაქტორითაა გამოწვეული: ეს არის სიახლოვე ცოლ-ქმრულ ურთიერთობებში და განსხვავებები გენდერულ-როლურ შეხედულებებში, რომელიც მეუღლეების თვისებებსა და მახასიათებლებზეა დამოკიდებული. (Knapp M. , 1984)

1.კონფლიქტის ძირითადი ცნებები

რა არის კონფლიქტი? კონფლიქტი არის წინააღმდეგობა ორ ან მეტ ადამიანს შორის, რომელიც წარმოიშვება მათი მიზნების, შეხედულებების, სურვილების, ინტერესების, დაპირისპირების გამო.

ცხოვრება კონფლიქტების გარეშე წარმოუდგენელია. შეუძლებელია, რომ საზოგადოების ან ოჯახის წევრთა ინტერესები და სურვილები ყოველთვის და ყველაფერში ემთხვეოდეს ერთმანეთს.

კონფლიქტი შეიძლება იყოს კონსტრუქციული, როდესაც არც ერთი მხარე არ აყენებს ერთმანეთს შეურაცხყოფას, ისინი უსმენენ ერთმანეთს და აღიარებენ საკუთარ შეცდომებს. ამგვარი კონფლიქტების გადაჭრა ხელს უწყობს ადამიანთა შორის ურთიერთობის განვითარებას. ასევე კონფლიქტი შესაძლოა იყოს დესტრუქციული, როდესაც ერთ-ერთი მხარე ჯიუტად და უხეშად დგას თავის პოზიციაზე და არ სურს მეორე მხარის ინტერესთა გათვალისწინება და აგრეთვე ცდილობს დათრგუნოს და დაამციროს მოწინააღმდეგე. (ზურიკაშვილი, 2002)

ხშირად კონფლიქტი წვრილმანების გამო წარმოიშობა: დაუფიქრებლად ნათქვამი სიტყვა ან უმნიშვნელო ინციდენტიც საკმარისია კონფლიქტის გასაღვივებლად.

კონფლიქტების წარმატებით დასაძლევად აუცილებელია კარგად წარმოვიდგინოთ, თუ რა ქმედებები იწვევენ კონფლიქტს.

ხშირად კონფლიქტი წვრილმანების გამო წარმოიშობა: დაუფიქრებელი ნათქვამი სიტყვა, უმნიშვნელო ინციდენტი და უკვე ჩამოყალიბებულია კონფლიქტი.

კონფლიქტების წარმატებით დასაძლევად აუცილებელია კარგად წარმოვიდგინოთ, თუ რა ქმედებები იწვევენ კონფლიქტს.

(Jeffrey Z. Rubin, 1994) (საიმონ ფიშერი, 2000)

2. სტერეოტიპები

ზოგადად კონფლიქტის და მათ შორის ცოლ-ქმარს შორის არსებული კონფლიქტის არაერთი გამომწვევი მიზეზიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არის სტერეოტიპები. ყოველდღიურ ცხოვრებაში გვინდა თუ არ გვინდა გვიწევს მრავალი წესის, კანონის ასრულება. ერთია როდესაც იცი თუ რატომ არსებობს კანონი, რომ ეს კანონი სახელმწიფოს (პარლამენტის) მიერაა მიღებული და მისი დამორჩილება აუცილებელია ადამიანთა ჰარმონიული თანაცხოვრებისათვის და მეორე- როდესაც არც კი იციან ვინ მოიგონა ეს წესი ? რატომ უნდა დაუჯერო? რისთვისაა საჭირო? პასუხი კი თითქმის ყოველთვის ერთი და იგივეა : „ეს დაუწერელი კანონებია“, „ასე იქცეოდნენ შენი წინაპრები“ . უკეთესად რომ ვთქვათ ეს „დაუწერელ კანონები“ სტერეოტიპებია.

სტერეოტიპი წარმოადგენს საყოველთაოდ გავრცელებულ, დადგენილ შეხედულებას, რომლის ზეგავლენის ქვეშაც ვექცევით და უმრავლეს შემთხვევაში ვიზიარებთ კიდეც. (ლექსიკონი ე. , nplg.gov.ge) იქმნება არაერთი მითი, რომელსაც ქართულ საზოგადოებაში, ადამიანები გაუცნობიერებლად ემორჩილებიან და დაუფიქრებლად ავრცელებენ. („ქალის ადგილი სახლშია“, „კაცს ღალატი ეპატიება“, „კაცი უნდა იყოს ოჯახში შემომტანი“...)

სხვადასხვა კვლევები ცხადყოფს, რომ რაც უფრო ტრადიციულია საზოგადოება, მით უფრო ძლიერია გენდერული სტერეოტოპების როლი, გენდერული კონფლიქტები და ვინაიდან საქართველო უძველესი ტრადიციის ქვეყანაა, მით უფრო მყარია გენდერული სტერეოტიპები დღესაც, რომლებიც ყოველი ფეხის ნაბიჯძე ქმნიან კონფლიქტებს. (ცენტრი, 2002), (წერეთელი., 2006)

მსოფლიოს ეკონომიკურმა ფორუმმა 2017 წლის გენდერული სხვაობის რეიტინგი გამოაქვეყნა, სადაც საქართველო 90–ე ადგილიდან (2016) 94–ე გადაინაცვლა. ანგარიში 144 ქვეყნის მონაცემებზე დაყრდნობითაა შედგენილი. იმის გამო რომ რეიტინგი 4 ძირითადი კრიტერიუმის მიხედვით დგება, თითოეულ ქვეყანას ცალ-

ცალკე შეფასება და ინდექსი ენიჭება ქალთა ჯანდაცვის, მათი პოლიტიკური ჩართულობის, ეკონომიკის სფეროში აქტიურობისა და განათლების კუთხით.

საქართველოში სქესთა შორის ეკონომიკური სხვაობის მაჩვენებელის ინდექსი 75–ია (2016 – 61). ყველაზე დაბალი მაჩვენებელი საქართველოს (124) ქალთა ჯანმრთელობის დაცვისა და პოლიტიკური გაძლიერების (114) კუთხით აქვს. განათლების ხელმისაწვდომობის ინდექსი კი 78–ან 81–ე გადაინაცვლა. (ფორუმი)

გენდერული სტერეოტიპებიდან გამოვყოფ რამდენიმე აქტუალურ სტერეოტიპს, რომლებიც ქმნიან ცოლ-ქმარს შორის კონფლიქტებს და ხშირ შემთხვევაში ეს კონფლიქტები ხდება **ძალადბის** გამომწვევი მიზეზი.

3. გენდერული ძალადობა.

გენდერული ძალადობა როგორც ტერმინი მრავალნაირად განიმარტება, თუმცა ნაშრომში გამოყენებულია USAID-ის მიერ 2014 წელს გამოქვეყნებულ მოხსენებაში - „გენდერული ძალადობის პრევენციის ინტეგრაცია და ეკონომიკური ზრდის ინსტრუმენტები“გამოყენებული დეფინიცია, რომელის მიხედვითაც გენდერული ძალადობა მიმართულია პიროვნებაზე და ხორციელდება სქესობრივი ნიშნით, ინდივიდის ბიოლოგიური სქესის ან გენდერული იდენტობის მიმართ. ის მოიცავს სექსუალურ, ფსიქოლოგიურ დამცირებას, მუქარას, იძულებას, თვითნებურად პირადი, საზოგადო და ეკონომიკური თავისუფლების აღკვეთას. გენდერული ძალადობა მოიცავს მარვალ ფორმას მათ შორისაა აბორტი, მცირეწლოვანი ჩვილი გოგონების მკვლელობა ბავშვთა მიმართ ძალადობა, ტრეფიკინგი, იძულებითი შრომა, ოჯახური ძალადობა, საზოგადოებაში მიღებული ისეთი ტრადიციები როგორიცაა ნაადრევი დაოჯახება, ღირსების შელახვა, სასქესო ორგანოების დასახიჩრება. (USAID, United States Strategy to Prevent and Respond to Gender-based Violence Globally, 2012)

გენდერულ ძალადობაზე საუბრისას მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ძალადობის მსხვერპლი ძირითად შემთხვევაში არიან ქალები და გოგონები. მართალია ბიჭები და მამაკაცებიც ხდებიან გენდერული ძალადობის სამიზნე, მაგრამ რისკი იმისა, რომ სწორედ ქალები დაზარალდებიან და იქნებიან ძალადობის ობიექტი, მკვეთრად დიდია, ამიტომაც „გენდერული ძალადობა“(Gender Based Violence) და „ქალთა მიმართ ძალადობა“ (Violence Against Women) ხშირად სინონიმებად მოიხსენიება. (USAID, United States Strategy to Prevent and Respond to Gender-based Violence Globally, 2012)

გენდერული ძალადობა ფესვგადგმულია საზოგადოებაში ქალებსა და მამაკაცებს შორის სტრუქტურული უთანასწორობის საუძველზე და ხასიათდება ფიზიკური, ემოციური ან ფინანსური ძალაუფლებისა და კონტროლის გამოყენებით. (USAID, United States' Strategic to Preventing and Responding to Gender-based Violence ., 2016), (ბექაური, 2004)

3.1 ცოლ -ქმრულ წყვილს შორის შესაძლოა გამოყენებული იყოს შდემდეგი სახის ძალადობა:

ფიზიკური ძალადობა - ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას; ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს ოჯახის წევრის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს;

ფსიქოლოგიური ძალადობა - შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას;

იძულება - ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებაა, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება;

სექსუალური ძალადობა - სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით; სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება არასრულწლოვნის მიმართ;

ეკონომიკური ძალადობა - ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას;

ასეთი სახის ძალადობა კი ხშირად გამოწვეული არის გენდერული სტერეოტიპებით აზროვნებით. (ბექაური, 2004)

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ წევრის სალომე საღარაძის თქმით, მეუღლეზე/ცოლზე ძალადობის ფაქტები, ქმრების გარდა დედამთილ-მამთილის მხრიდანაც ხშირია.

“ქალებზე ხშირად დედამთილ-მამათილიც ძალადობს, და ეს დაზიანებები ხშირ შემთხვევაში მკაფიოა, სილურჯეები სხეულზეც აღენიშნებათ ხოლმე. სამწუხაროდ მოიმატა ჩვენთან მსხვერპლთა მომართვიანობამ, დღეში დაახლოებით 3-4 ადამიანი გვაკითხავს, აქედან ქალების რაოდენობა ჭარბობს”.

საქართველოში ქალების 35%-ზე მეტი განიცდის ძალადობის სხვადასხვა ფორმებს, მათ შორის ფსიქოლოგიურ, სიტყვიერ და ეკონომიკურ ზეწოლას; (საღარაძე, 2018)

“მე ვფიქრომ რომ საქართველოში ასეთი სიხშირით ძალადობა იმიტომ ხდება რომ საზოგადოებას არ აქვს პროტესტი ამ ყველაფერთან დაკავშირებით, ისისნი უხმოდ იტანენ ყველაფერს და არ ცდილობენ გამოხატონ საკუთარი დამოკიდებულება, საკუთარი პროტესტი.”- მიიჩნევს ექსპერტი გენდერის საკითხებში რომლის აზრითაც, ძალადობის წინააღმდეგ გარკვეული სტრატეგიების გამოყენება სასკოლო და უფრო ადრეული ასაკიდანაც კი უნდა იწყებოდეს. (ბერეკაშვილი, 2018)

ხოლო ფსიქოლოგ სოფო სუხიშვილის თქმით- “ტერმინი გენდერული თანასწორობა, საქართველოში კარგად არ ესმით, ხშირად მოისმენთ მსგავს ფრაზებს, რომ მამაკაცი ბევრად ძლიერია ქალზე და ქალი მას ვერასოდეს გაუტოლდება, რომ ვერ დაასახელებ გენიოსი ქალის სახელს, რადგან ძირითადად ყველა მამაკაცი იყო. მე სულაც არ მიმაჩნია, რომ ქალი მამაკაცთან შედარებით ნაკლებად ჭკვიანი და ნაკლებად ენერგიულია, არსებობს სხვადასხვა სფერო, სადაც მამაკაცებსა და ქალებს განსხვავებული მიდრეკილებებები აქვთ. ხოლო რაც შეეხება იმას, თუ რატომ იყო ძველად ყველა გენიოსი კაცი, მარტივი პასუხი არსებობს, გარემო პირობები, გაბატონებული აზრები და წესები, ტრადიციები, ზღუდავდა ქალის პოტენციალს და მათ არ შეეძლოდ საკუთარის ნიჭისა და უნარ-ჩვევების რეალიზება. ქალები მომავალში საკუთარ თავს უკეთესად გამოავლენენ. გენდერული თანასწორობაც ხომ ამას გულისხმობს, რომ მიუხედავად სხვადასხვა შესაძლებლობებისა ორივე სქესის წარმომადგენელს ქონდეს ერთნაირი უფლება თავისუფლად გამოავლინონ საკუთარი თავი”. (სუხიშვილი, 2018)

კანონი ოჯახში ძალადობის შესახებ 2006 წლიდან მოქმედებს. კანონი სახელმწიფო რეგულირების ქვეშ აქცევს ოჯახში ძალადობის ფაქტებს და მსხვერპლთა დაცვის

მექანიზმებს აწესებს. 2010 წელს მიღებულ იქნა ასევე კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, მოქმედებს კანონი ტრეფიკინგის წინააღმდეგაც, თუმცა ერთია საკანონმდებლო ბაზა, მეორე კი - რეალობა. რეალობა კი უფრო კარგად ჩანს ქართულ რეალობაში, განსაკუთრეით საქართველოს რეგიონებში. (პარლამენტი)

4. კუმისის მდებარეობა

მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია კვლევაში გავაანალიზოდ კუმისის განათლების დონის, მოსახლეობისა და სოციალური მდგომარეობის სტატისტიკური მონაცემები, რადგან აღნიშნული ფაქტორები კორელაციაშია კვლევის მიზანთან.

კუმისი მდებარეობს საქართველოს დედაქალაქის სამხრეთით 10 კილომეტრში, თრიალეთის ქედის ძირში. კუმისის ადგილმდებარეობა წარმოადგენს ქვემო ქართლის ვაკეში-მცირე კრატერიის ფორმის დაბლობს.

წყაროებში პირველად იხსენიება XV საუკუნეში. 1462 წელს კუმისთან ქართველთა ლაშქარმა სასტიკად დაამარცხა თურქმანთა ჯარი. (ენციკლოპედია)

ამჟამად დაბა კუმისი სამი უბნისაგან შედგება: ზემო უბანი (ისტ. „ორბელიანთა კოშკის უბანი“) შუა უბანი და ე.წ „ბუღამის“ უბანი.

2014 წლის აღწერის მონაცემებით სოფელში ცხოვრობს 1900 კაცი. 200 ოჯახი. აქედან 35 წლამდე ასაკის 1000 ადამიანია. დაახლოებით 150 ოჯახი არის მიგრაციაში, სამსახურის და სხვადასხვა მიზეზის გამო. სოფელში არსებობს საბავშვო ბაღი და სკოლა სადაც 275 მოსწავლე ფიქსირდება.

სოფლის განათლების დონე საჯმაოდ კარგია, სტატისტიკური მონაცემებით, მოსახლეობის 33 %-ს დამთავრებული აქვს ან სწავლობს უმაღლეს სასწავლებელში.

მოსახლეობის 80 % დასაქმებულია , როგორც თავად კუმისის მეფრინველეობის ფაბრიკაში (180 დასაქმებული ადამიანიდან 115 ადგილობრივია.), ისე დედაქალაქში. (XXI)

სოფლის დასაქმებისა და ცნობიერების დონე სხვა სოფლებთან შედარებით მაღალია. (საქსტატი)

სოფლის სახელის წარმოშიბის შესახებ უტყუარი ინფორმაცია არ გაგვაჩნია. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ვკითხულობთ: „კუმისი(თურქულიდან)-

ცხენის(აგრეთვე აქლემის) რძიაგან დამზადებული სასმელი.“ მაგრამ იმავე ლექსიკონში ვკითხულობთ:

„კუმსი-ხშირი და მჭიდროდ გალაგებული მარცვლების მქონე(უმთავრესად ყურძნის მტევანზე ითქმის). (ლექსიკონი ქ. ე.)

5. ოჯახის ტიპები

ოჯახის განსაზღვრებები მეცნიერულ ლიტერატურაში საკმაოდ ბევრია. ამასთან, ბევრი დეფინიცია საზოგადოების ცნობიერებაში შემოვიდა ძალიან დიდი ხნის წინ რის გამოც რთული გახდა ამ განსაზღვრებების ავტორების დადგენა.

ოჯახი განისაზღვრება, როგორც სოციალური ინსტიტუტი, როგორც საერთო საცხოვრებელი სივრცე, რომლის შიგნითაც კმაყოფილდება ნათესაური კავშირების მქონე ადამიანების სპეციფიკური მოთხოვნილებები. ეს სივრცე საკუთარ თავში მოიცავს საკმაოდ რთულ სტრუქტურას, რომელიც შედგება სხვადასხვა სახის ელემენტებისა (როლები, პოზიციები, კოალიციები და სხვა) და მისი წევრების ურთიერთქმედების სისტემებისაგან. ასე რომ, სტრუქტურა არსებობს ცოცხალი ორგანიზმის კანონებთან შესაბამისობაში, რის გამოც გააჩნია კანონზომიერი დინამიკა და თავის განვითარებაში გადის მთელ რიგ ფაზებსა და ეტაპებს. ხშირ შემთხვევაში სწორედ ეს ელემენტები, სისტემები და მათ მიმართ სტერეოტიპული დამოკიდებულება ქმნის კონფლიქტს. (Taylor, A. R. 1996)

მრავალი განსაზღვრების თანახმად, ოჯახი წარმოადგენს ჯგუფს, რომელიც აკმაყოფილებს მისი წევრების მოთხოვნილებებს და ეს მოთხოვნილებები წარმატებით კმაყოფილდება კონკრეტული ადამიანების უნიკალური ურთიერთქმედების შედეგად. მიუთითებენ, რომ ოჯახი არის ორგანიზებული სოციალური ჯგუფი, რომელთა წევრებიც ერთმანეთთან დაკავშირებული არიან ყოფიერების არსით, ორმხრივი მორალური პასუხისმგებლობით და სოციალური აუცილებლობით, რომელიც განპირობებულია საზოგადოების ფიზიკური და სულიერი თვითრეალიზების მოთხოვნილებით. (Посысоев, 2004)

ოჯახი და ქორწინება ესაა კულტურულ _ისტორიული მოვლენა, რომელმაც კაცობრიობის განვითარების პერიოდში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა და რომელმაც ოჯახური ურთიერთობების განსაზღვრულ ტიპებში ჰპოვა გამოხატულება. ოჯახზე არსებული ტიპოლოგია შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს: პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ტიპოლოგია, რომელიც ოჯახურ სტრუქტურებს შორის განსხვავებებს განსაზღვრავს. (Murdock, 1995)

5.1 მეუღლეთა მიკუთვნება გარკვეულ სოციალურ ერთობებში:

- ენდოგამია;
- ეკზოგამია;

ენდოგამია - ეს არის ქორწინების ფორმა, რომლის თანახმადაც ქორწინდებიან ერთსადაიმავე სოციალურ ჯგუფებსა და საზოგადოებაში შემავალი წყვილები და ქორწინება სოციალური ჰომოგენურობის პრინციპის შესაბამისია. ჰომოგენურობა ხშირად მიიჩნევა ქორწინების სტაბილურობისა და წარმატებულობის ფაქტორად. (მიუთითებენ, რომ ჰომოგენურ კავშირებში უფრო ადვილია ურთიერთგაგების, საერთო ინტერესებისა და ღირებულებების მიღწევა).

ეკზოგამია - ასევე ერთ-ერთი გავრცელებული ფორმაა ქორწინებებში. იგულისხმება საკუთარი ერთობების (საზოგადოების) ფარგლებს მიღმა პარტნიორის შერჩევა. აღნიშნავენ, რომ ეკზოგამიური ქორწინება ხელს უწყობს სხვადასხვა საზოგადოების წევრების ინტეგრაციას და განსხვავებულ სოციალურ ჯგუფებს შორის საზღვრებს უფრო ღიას ხდის, თუმცა სირთულეც შესაძლოა წარმოშვას ახალი ნორმების, ღირებულებებისა და გარემოს მიღების პროცესმა. (Murdock, 1995) (Посысоев, 2004)

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ოჯახის ტიპოლოგიას, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია ოჯახში ხელისუფლების სტრუქტურის, მამაკაცისა და ქალის უპირატესი ოჯახური ფუნქციებისა და შიდაოჯახური ლიდერობის სპეციფიკის შესახებ. ამ კრიტერიუმების შესაბამისად ოჯახთა შემდეგ ტიპებს გამოყოფენ:

5.2 მმართველობის სტრუქტურა ოჯახში:

- ტრადიციული პატრიარქალური;
- ტრადიციული მატრიარქალური;

- ნეოპატრიარქალური;
- ნეომატრიარქალური;
- ეგალიტარული

ტრადიციულ პატრიარქალური ოჯახი – სადაც, ქმარი არის ლიდერი, ღიად არის ცოლის მასზე დამოკიდებული გამოხატული, ხოლო ბავშვებისა კი მშობლებზე.

ტრადიციულ მატრიარქალურ ოჯახი - ძალაუფლება ეკუთვნის ქალს.

ნეოპატრიარქალური ოჯახი - სტრატეგიულ და საქმიან (ინსტრუმენტულ) ლიდერად ქმარი, ხოლო ტაქტიკურ და ემოციონალურ (ექსპრესიულ) ლიდერად – ცოლი მიიჩნევა.

ნეომატრიარქალური ოჯახი, სადაც ცოლ- ქმრის ერთობლივი ლიდერობა მათი გავლენის სფეროების გაყოფით განისაზღვრება. კონფლიქტი მეუღლეებში შესაძლოა წარმოიქმას სწორედ ამ გავლენათა სფეროების არათანაბარი გაყოფის შედეგად, ან მეუღლეებიდან რომელიმეს მიერ სხვა როლის მიკუთვნების სურვილის გამო.

ეგალიტარული ოჯახი - გულისხმობს სრულ თანაბარუფლებიანობას ცოლსა და ქმარს შორის ოჯახური თანაცხოვრების ყველა საკითხში. ეგალიტარულ ოჯახში მეუღლეთა პოზიციების შეთანხმებულობის პრინციპებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ. ამ ტიპის ოჯახებში, წყვილებში წარმოქმნილი უთანხმოებები გვარდება ორმხრივი შეთანხმებების, კომპრომისებისა და ორივე მხარისათვის სასარგებლო გაცვლების საფუძველზე.

ტიპოლოგიის მეორე ჯგუფში მოცემულია ოჯახების ფუნქციონირების თავისებურებები. (Посысоев, 2004)

ოჯახური ფუნქციების შესრულების ხარისხი:

- ნორმალურად ფუნქციონირებადი;
- დისფუნქციონალური;

ოჯახური პრობლემების პროდუქტიულად გადაწყვეტის უნარი:

- პრობლემური;
- მეუღლეების კმაყოფილება ქორწინებით;
- მეუღლეების უკმაყოფილება ქორწინებით;
- როცა მეუღლეთაგან ერთ-ერთი უკმაყოფილოა (ან კმაყოფილია). (A.B., 2001)

ხშირად რომელიმე ფუნქციის გადაჭარბება ან ცოლზე/ქმარზე ზედმეტად მიკუთვნება იწვევს კამათს, დაძაბულობას, რომელიც რეგულარული სიხშირის შემდგომ გადაიზრდება კონფლიქტში და ამის გამო ხშირად ვიღებთ ძალადობის შედეგებს. (Гришина, 2008)

6. ოჯახის განვითარების პერიოდები და ფუნქციები

ოჯახი ეს არის ადამიანური ურთიერთობების უნიკალური ინსტიტუტი და მისი ეს უნიკალურობა მდგომარეობს იმაში, რომ ოჯახი წარმოადგენს ადამიანების ყველაზე მჭიდრო კავშირს, რომლის დროსაც ადამიანები ნებაყოფლობით ურთიერთობენ და ცდილობენ მიანიჭონ სიხარული და სიამოვნება ერთმანეთს. ოჯახის შედარებით ახალ ფორმად ითვლება ოჯახი, რომელიც შედგება შვილებისა და მშობლებისაგან და რომლებიც სხვა ნათესავებისაგან განცალკევებით ცხოვრობენ. ქორწინება არა მხოლოდ ორი ადამიანის შეერთებად ითვლება, არამედ წარმოადგენს ორი ოჯახის შერწყმას, რომლებიც ურთიერთქმედებენ ერთმანეთზე და ქმნიან ქვესისტემების რთულ ბადეს. ქორწინება არის მნიშვნელოვანი ფაქტორი და ის ოჯახის თითოეულ წევრს ერთმანეთის მიმართ ახალი ტიპის ურთიერთობაში გადასვლაში ეხმარება. შესაბამისად არ არის გასაკვირი რომ ყველა ოჯახში ხდება კონფლიქტი. ყველა ოჯახს, რომელიც ხანგრძლივი დროის მანძილზე არსებობს, აქვს პერიოდები, როდესაც მასში ხდება მნიშვნელოვანი ცვლილებები და რომლებსაც შეუძლიათ წარმოქმნან კონფლიქტი. (Taylor, A. R. 1996), (Parsons, 1951)

მეცნიერები ოჯახის განვითარების რამდენიმე პერიოდს გამოყოფენ:

პირველი პერიოდი – ხდება ცოლ-ქმრის ერთმანეთთან ადაპტაცია. სტატისტიკის მიხედვით, მიუთითებენ, რომ ქორწინებიდან ერთი წლის თანაცხოვრების შემდეგ, შესაძლოა ოჯახების ოცდაათ პროცენტში განქორწინება დაქიფსირდეს.

მეორე პერიოდი – ბავშვების დაბადება. ისინი ბევრ ყურადღებას ითხოვენ, რაც ხელს უშლის მშობლებს პროფესიულ ზრდაში. მშობლებს უწევთ უარი თქვან გართობებზე, იზრდება დაღლილობა, დაძაბულობა. შემდგომ კი შეიძლება სტერეოტიპების შედეგად გაჩნდეს აზრთა სხვადასხვაობა ბავშვის აღზრდის საკითხებში და მათ პროფესიულ ორიენტაციაზე. მსგავსმა გარემოებებმა კი შეიძლება წარმოშვას ინტერპერსონსლური კონფლიქტები.

მესამე პერიოდი – ოჯახის ახალი წევრების შემომატება. რძლები სიძეები, მძახლები შვილიშვილები. დგება ხანდაზმულობის პერიოდი. სიბერეს თან ახლავს თავისი პრობლემები.

ყოველი პერიოდი ხასიათდება თავისი სპეციფიკური კონფლიქტური სიტუაციებით. მაგალითად ოჯახის განვიტარების პირველ პერიოდში, როდესაც ხდება ცოლ-ქმრის ერთმანეთთან ადაპტაცია, ხორციელდება როლების გადანაწილებაც. გენდერული სტრეოტიპებით აზროვნების შედეგად არასწორად გადანაწილებული როლები და ფუნქციები იწვევს კონფლიქტს. ოჯახურ ინტერპერსონალურ კონფლიქტებზე შეიძლება ასევე გავლენას ახდენდეს გარემო ფაქტორები, მაგალითად, ცვლილებები საზოგადოებაში, მორალური და კულტურული კრიტერიუმების შეცვლა. პასუხისმგებლობების და მოვალეობების გაზრდა (მაგ. სამსახურში). (политике, 2009) (Murdock, 1995)

7. ოჯახის ფუნქციები

საზოგადოების განვითარებასთან ერთად იცვლება ოჯახის სხვადასხვა ფუნქციის მნიშვნელობა, რომლებიც საზოგადოებაში მიმდინარე მატერიალურ, სულიერ და სოციალურ პირობებთან არის დაკავშირებული და რომელიმე ფუნქციის გადაჭარბება ან ზედმეტად მიკუთვნება ცოლზე/ქმარზე იწვევს კონფლიქტს.

ოჯახის შემდეგ მნიშვნელოვან ფუნქციებს გამოყოფენ:

- რეპროდუქციული ფუნქცია(სექსუალურ- ეროტიკული ფუნქცია);
- აღმზრდელობითი ფუნქცია;
- ემოციური ფუნქცია;
- მატერიალური (ყოფითი) ფუნქცია;
- რეკრეაცული (აღმდგენითი) ფუნქცია;
- რეგულაციური ფუნქცია;

რეპროდუქციული ფუნქცია (სექსუალურ- ეროტიკული) - ფუნქცია რომელიც ოჯახს დასაბამიდან აქვს არის რეპროდუქციული ფუნქცია ამ ფუნქციით ხდება ოჯახის წევრების სექსუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

აღმზრდელობითი ფუნქცია - ის მჭიდროდ არის დაკავშირებული რეპროდუქციულ ფუნქციასთან. მოსახლეობის კვლავ წაროქმნაში არა მხოლოდ ბიოლოგიური, არამედ სოციალური მომენტიცაა და ის გულისხმობს როგორც შვილის გაჩენას, ასევე აღზრდაც.

ემოციური ფუნქცია - ადამიანის ისეთი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, როგორიცაა სიმპათია, პატივისცემა, ემოციური მხარდაჭერა, ფსიქოლოგიური დაცვა. ეს ფუნქცია უზრუნველჰყოფს საზოგადოების წევრების ემოციურ სტაბილურობას, ხელს უწყობს მათი ფსიქიკური ჯანმრთელობის შენარჩუნებას.

მატერიალური ფუნქცია - ოჯახური ბიუჯეტის გამოყენება და ფორმირება;

რეკრეაციული (აღმდგენითი) ფუნქცია - ცნობილია, რომ ფორმირებული პიროვნება საკუთარი თავის რეალიზაციას ახდენს უპირველეს ყოვლისა საზოგადოებრივად სასარგებლო ქცევაში. ყოველდღიური შრომის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი კი ძალების მოკრებისა და დასვენებისათვის სწორედ ოჯახია.

რეგულაციური ფუნქცია - ზოგიერთი მეცნიერი გამოყოფს ოჯახის რეგულაციურ ფუნქციას (პირველადი სოციალური კონტროლის) – რომელიც წარმოადგენს ოჯახის წევრებს, სხვა ადამიანებსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობების რეგუალციას. ეს ფუნქცია უზრუნველყოფს ოჯახის წევრების მიერ სოციალური ნორმების შესრულებას განსაკუთრებულად მათ მიერ, ვინც რიგი გარემოებების გამო (ავდმყოფობა, ასაკი) ვერ ახერხებს დამოუკიდებლად მოქმედებას სოციალური ნორმების შესაბამისად.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოჯახისათვის ზემოთ ჩამთვლილი ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნცქიების გარდა, მეცნიერები მრავალ სხვა განსხვავებულ ფუნქციებსაც გამოყოფენ და წლების განმავლობაში ამ კუთხით არაერთი ნაშრომი იქნა გამოქვეყნებული. ყველა ფუნქცია ოჯახისათვის თანაბრად მნიშვნელოვანია, თუმცა, რომელიმე ოჯახის წევრის მიერ რომელიმე ფუნქციისთვის განსაკუთრებული უპირატესობის მინიჭებამ შესაძლოა ცოლ _ ქმარს შორის კონფლიქტი წარმოშვას. (политике, 2009), (Schiamberg, 1983)

8. ცოლ-ქმრული კონფლიქტების კლასიფიკაცია

კონფლიქტები ცოლ-ქმარს შორის ორი მნიშვნელოვანი ფაქტორითაა გამოწვეული: ეს არის სიახლოვე ცოლ-ქმრულ ურთიერთობებში და განსხვავებები გენდერულ-როლურ შეხედულებებში, რომელიც მეუღლეების თვისებებსა და მახასიათებლებზეა დამოკიდებული (Argyle, 1985) ცოლ-ქმრულ კონფლიქტებზე ჩატარებულ არაერთ კვლევებში, ახალგაზრდა წყვილების მიერ კმაყოფილების ნაკლები და კონფლიქტურობის მაღალი მაჩვენებელების დაფიქსირება, მიიჩნევა რომ სწორედ ხანგრძლივ ურთიერთობებში, კონფლიქტების ეფექტურად გადაწყვეტის სირთულეზე მიუთითებს, რომელიც ამასთანავე მოითხოვს ძალიან დიდ დროსა და ძალისხმევას (Michael Argyle, 1981) . ქორწინება ერთადერთ განსაკუთრებულად ძლიერ ემოციურ ურთიერთკავშირს გულისხმობს, რომელშიც კონფლიქტების დიდი რიცხვი ნორმად ითვლება, თუმცა ყველა კონფლიქტი წყვილებისთვის შესაძლოა პოტენციურად დესტრუქციული იყოს, რამდენადაც ქორწინებაში მყოფი რომელიმე მხარისთვის მოსალოდნელია უფრო საზიანო აღმოჩნდეს. (Gumbe, 2017) .

კონფლიქტის მიზეზების გამოყოფა რთულია. ცოლ-ქმრულ ურთიერთობებში, შესაძლოა დადგინდეს მხოლოდ ის სპეციფიკურად პრობლემური მახასიათებლები, რომელიც ინტენსიურად ვლინდება და კონფლიქტის წარმომქმნელ ფაქტორებად მიიჩნევა. ესენია: ფინანსური საკითხები, თავისუფალი დროის გატარება, პიროვნული თვისებები, შვილების აღზრდა, საშინაო პასუხისმგებლობები, კარიერა, ახლო ნათესავები, მეგობრები და ინტიმური საკითხები, რაც მთავარია ამ საკითხებზე სტერეოტიპული დამოკიდებულებები (Knapp, 1984) ხშირად, პრობლემების იდენტიფიცირებისათვის მსგავსი მიდგომები ზერელე განსაზღვრებადაც კი მიიჩნევა, რადგანაც ჩამოთვლილი მიზეზები გადაუჭრელი კონფლიქტების სიღრმისეულ სიმპტომებს წარმოადგენს და ხშირად, გაუგებრობების ნადვილი წყარო დაფარული და უცნობია.

ცოლ-ქმრული კონფლიქტების 10 ყველაზე გავრცელებული მიზეზი შემდგეგნაირად კლასიფიცირდება:

- **მოლოდინები** - არარეალური მოლოდინები ქორწინებაზე;

- **როლები** - იმედგაცრუება, გამოწვეული პარტნიორის მიერ შესრულებული ფუნქციების გამო; სტერეოტიპულად გადანაწილებული როლები.
- **გარეშე სტრესი** - სამსახურის, ავადმყოფობის, გარემოს ცვლილებისა და ოჯახური პრობლემებისგან.
- **ჰომოგამია** - პარტნიორებს შორის ნაკლები მსგავსება; განსხვავება აზროვნებით, დამოკიდებულებებით...
- **თვითშეფასება** - დაბალი თვითშეფასება, რომელიც ნეგატიური სტრატეგიების გამოყენებას უწყობს ხელს;
- **ოჯახური ჩართულობა** - კონფლიქტები პარტნიორთაგან რომელიმე ოჯახთან; საოჯახო საქმეების გადანაწილება, შვილების აღზრდა.
- **კომუნიკაცია** - არაადეკვატური და შეუსაბამო კომუნიკაციური უნარები;
- **ბავშვები** - დრო, ენერგია და ფული, დათმობილი ბავშვებისადმი, რომელიც იწვევს კონფლიქტებს;
- **ფსიქოლოგიური ჯანმრთელობა** - პარტნიორებში არსებული ფსიქიკური პრობლემები;
- **კონგრუენტულობა მოზარდების განვითარებაში** - ვერ მოხდება პრობლემების გადაწყვეტა, თუ განვითარება არის შეუძლებელი. (ფირცხალავა, 2008.) (Гришина, 2008)

9. ოჯახური კონფლიქტების გამომწვევი ფაქტორები ადაპტაციის პერიოდში

პირველ პერიოდში, ანუ ცოლ-ქმრის ადაპტაციის პერიოდში კონფლიქტის ყველაზე ტიპიურ მიზეზებად მიჩნეულია:

- ინტერპერსონალური შეუთავსებლობა;
- პრეტენზია ლიდერობაზე;
- პრეტენზია უპირატესობაზე;
- ოჯახური საქმეების განაწილება;
- მეგობრებისა და ნათესავების რჩევებით ხელმძღვანელობა;
- ინტიმურ-პირადული ადაპტაცია.
- შხედულებებისა და დამოკიდებულებების განსხვავებულობა;

ინტერპერსონალური შეთავსება - გულისხმობს ერთმანეთის მიღებას, რაც ეყრდნობა მსგავსებას ფასეულობებში, სოციალურ აღქმებში, ინტერესებში, მოტივებში, მოთხოვნილებებში, ხასიათებში, ტემპერამენტში, პიროვნული განვითარების დონეში. ინტერპერსონალური შეუთავსებლობა ჩნდება მაშინ, როდესაც ხსენებული ინდივიდუალურ ფსიქოლოგიური მახასიათებლები ყველა მხარეს აქვს განსხვავებული და მეორე მხარის საპირისპიროა.

ოჯახში პრეტენზია ლიდერობაზე - ·ქორწინებამდე ორივე ცოლ-ქმარი შეიძლება ჩამოყალიბდნენ როგორც ლიდერები. ‚ოჯახურ ცხოვრებაში მსგავსი პრინციპების შენარჩუნება იწვევს კონფლიქტს. როდესაც რომელიმე მხარე ლიდერობს, ის თრგუნავს მეორე მხარის ინიციატივებს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ღია, ან შენიღბული კონფლიქტი.

პრეტენზია უპირატესობაზე - ოჯახური თანაცხოვრების პირველ პერიოდში, ხშირია შემთხვევები, როდესაც ცოლი ან ქმარი ცდილობს თავისი უპირატესობის დამტკიცებას. ე. ბერნი აღწერს სიტუაციას, როდესაც წყვილები უმიზეზოდ

ერთმანეთს ცინიკურ შენიშვნებს უკეთებენ, რაც ხშირად სახალხოდ ხდება და უმტეს შემთხვევაში კონფლიქტის წარმოშობს.

საოჯახო საქმეების განაწილება - ზოგიერთი ოჯახი საოჯახო საქმიანობას ორ ნაწილად ყოფს: ქალის და კაცის საქმეებად, მაგრამ რაც არ უნდა ზუსტად იყოს განაწილებული მოვალეობები, მაინც ყოველთვის იჩენს თავს გაუთვალისწინებული სიტუაციები, რაც საბოლოოდ შესაძლებელია კონფლიქტის მიზეზი გახდეს.

ოჯახური ბიუჯეტი ცოლ-ქმარს შორის პრობლება ხშირად ფინანსური საკითხების გამო ჩნდება. (მაგ. კონფლიქტური სიტუაცია შეიძლება წარმოიშვას მაშინაც, როდესაც ერთ მხარეს მიაჩნია, რომ მეორე უაზროდ ხარჯავს ფულს იმ ნივთებში რაც სრულიად უსარგებლოა).

მეგობრები და ნათესავები. ზოგიერთი ადამიანისათვის ცხოვრებისეული სირთულეების მარტო გადატანა ძალიან ძნელია. ამ დროს ისინი მიმართვენ მეგობრებს, ნათესავებს ან კითხულობენ სპეციალურ ლიტერატურას.

ინტიმურ-პირადული ადაპტაცია. ცოლ-ქმარი ითხოვს ერთმანეთისაგან მორალურ-ფსიქიკურ და ფიზიოლოგიურ დაკმაყოფილებას. ამ პროცესის დარღვევა კი განაპირობებს კონფლიქტის წარმოშობას. (Murdock, 1995), (ფირცხალავა, 2008.), (Гришина, 2008)

10. კვლევის შედეგების ანალიზი

10.1 ქალი ოჯახში

ოჯახური კონფლიქტი, როგორც პრობლემა დიდი ხნის წინ იღებს სათავეს საზოგადოებაში. არსებობდა ასეთი ტრადიციული და დოგმატური შეხედულება, რომ ქალი, რომელიც ოჯახში შევიდოდა კარგავდა გარკვეულ უფლებებს და ის ვალდებული იყო ე.წ. "უღელი" დაედგა და ყოფილიყო მეუღლის სამსახურში, ჭირსა თუ ლხინში. წარსულში, როდესაც ადამიანთა უფლებების დაცვა უფრო მეტად რთული იყო ვიდრე ეს დღეს არის, ვერ ხდებოდა ამ პრობლემის სააშკარაოზე გამოტანა, არ იყო საზოგადოება მენტალურად მზად იმისათვის, რომ მიეღო დაჩაგრული მხარის პრეტენზიები და მოესმინა მისთვის, ყველა და მათ შორის დაჩაგრული მხარეც ფიქრობდა, რომ ეს მისი მორალური ვალდებულება იყო და სტანდარტულად ასრულებდა მასზედ დაკისრებულ მოვალეობას და ეს იყო დიდი პრობლემა. არც თუ ისე დიდი ხნის წინ და თუნდაც ახლა იმ თაობის წარმომადგენლებს რომ გაესაუბროთ, ვინც ამ აზრს პროპაგანდას უწევდა დარწმუნდებით რომ ისინი კვლავ ამ აზრზე არიან და ისინი საკუთარ შვილებს, შვილიშვილებს ზრდიდნენ და ზრდიან იმ მოტივით, რომ ქალი ყოველთვის ჩუმი, მიმტევებელი უნდა იყოს. (სუმბაძე ნანა, 2008) ეს, რა თქმა უნდა, არასწორია გამომდინარე იქიდან რომ კანონმდებლობითა თუ ფსიქოლოგიური შეფასებით ნებისმიერი ადამიანი განურჩევლად ნებისმიერი შეფასებითი კრიტერიუმისა თანასწორია. თუ ამ საკითხს კანონმდებლობის თვალსაზრისით შევხედავთ ნებისმიერი ადამიანის თავისუფლება კონსტიტუციით არის გარანტირებული, (პარლამენტი) ხოლო ფსიქოლოგიური კუთხით ნებისმიერ ადამიანს აქვს ე.წ. "წრე" მისი თავისუფალი გარემო, სადაც იგი თავისი ნებითა და შეხედულებით მოქმედებს. (უზნაძე, 2007)

არასამთავრობო ორგანიზაცია ,,ქალთა საინფორმაციო ცენტრის'' დირექტორ ელენე რუსეცკაიას აზრით :

„ოჯახზე საუბარი ნამდვილად რთულია, მაგრამ ოჯახურ გარემოში პრობლემას ნამდვილად გენდერული სტრეოტიფებით აზროვნებაც იწვევს.ადამიანებს ურჩევნიათ შეინარჩუნონ ოჯახი, ვიდრე დაანგრიონ. ჩვენთვის მთავარია რომ ოჯახში მეუღლეთა შორის დაცული იყოს ბალანსი. თითოეულმა მხარემ იცოდეს არამხოლოდ მისი უფლებები არამედ ვალდებულებებიც. როცა შენ მიზღუდავ უფლებებეს და მეუბნები რომ ჩემი სამოქმედო არეალი არის სამზარეულო, იქ უნდა ვიტრიალო და სახლში დაღლილი მოსულმა გემრიელი კერძების სუნი უნდა დაგახვედრო, არასწორი ხარ. როცა მეუბნები რომ მე მხოლოდ შვილებს უნდა მოვუარო, სახლში ვიჯდე, სამსახური არ მქონდეს და დამატებითი საქმიანობით დაკავება არ შემიძლია, არასწორი ხარ. სამოქალაქო კანონმდებლობით ორივე მშობელი თანაბრად უნდა ზრუნავდეს ბავშვის აღზრდა განვითარებაზე. ბალანსი უნდა ვიგულისხმოთ, თორემ, რა თქმა უნდა, დედას ყოველთვის მეტი ამაგი აქვს შვილზე, ყურადღების მხრივ. მაგრამ თავდაპირველ კონფლიქტს ოჯახში სწორედ ეს ვალდებულებებისა და უფლებების გამიჯვნის არცოდნა იწვევს. რა თქმა უნდა არსებობს უამრავი სხვა პრობლემაც, უმუშევრობა, სიღარიბე, ჯანმრთელობის მდგომარეობა ან სხვა, მაგრამერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა სწორედ ეს არის. „ (რუსეცკაია, 2018)

10.2 ოჯახთან დაკავშირებული ღირებულებები, წარმოდგენები, დამოკიდებულებები

როგორც კვლევის შედეგები აჩვენებს, ოჯახი ქართული საზოგადოებისთვის ძალიან მნიშვნელოვან ფასეულობას წარმოადგენს. ღირებულებათა იერარქიაში ოჯახი როგორც ქალების, ისე მამაკაცების აბსოლუტური უმრავლესობის შემთხვევაში პირველ ადგილას დგას. გამოკითხული 100 ქალიდან ოჯახს პირველ ადგილზე აყენებს 100- ვე, ხოლო 100 მამაკაციდან 96.

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ წარმოდგენები ოჯახში ქალისა და კაცის ფუნქცია-მოვალეობებთან დაკავშირებით საკმაოდ ტრადიციულია. ქართულ საზოგადოებას ახასიათებს გარკვეული ოჯახური იერარქია და სუბორდინაცია ოჯახის წევრებს

შორის, რომელიც ქალისა და კაცის როლებზე სტერეოტიპულ, ტრადიციულ და, ხშირ შემთხვევაში პატრიარქალურ წარმოდგენებს ეფუძნება.

იმაზე, რომ ქართულ ოჯახში მასკულინური დომინაცია მიიჩნევა პრიორიტეტულად მეტყველებს ის ფაქტი, რომ ცოლ-ქმრული წყვილების საკმაოდ დიდი ნაწილის აზრით, **იდეალურ შემთხვევაში ოჯახის მარჩენალი კაცი უნდა იყოს** , გამოკითხული 100 ქალიდან 80-მა ოჯახის მარჩენალად კაცი დაასახელა, 20 -მა ორივე. მაშინ, როდესაც გამოკითხული 100 მამაკაციდან 89 თვლის, რომ ეს ფუნქცია ქალმა უნდა შეითავსოს ხოლო 11 ადამიანი მიიჩნევს, რომ მამაკაცსა და ქალს თანაბრად უნდა შეჰქონდეთ წვლილი ოჯახის რჩენაში. აღსანიშნავია ის ფაქტიც რომ არც ქალებმა და არც მამაკაცებმა ოჯახის მარჩენალად ქალი არ დაასახელეს.

პატრიარქალური ღირებულებები ასევე თავს იჩენს ოჯახში გადაწყვეტილების მიმღები პირის საკითხის განხილვისას. გამოკითხულთა საკმაოდ დიდი ნაწილი თვლის, რომ მთავარი **გადაწყვეტილების მიმღები პირი** ოჯახში კაცი უნდა იყოს.100 გამოკითხული ქალიდან 83- მმა გადაწყვეტილების მიმღებ პირად მამაკაცი დაასახელა, ხოლო 17- მა-ორივე, ქალიც და მამაკაციც ერთად. 100 გამოკითხული მამაკაციდან 92 თვლის რომ გადაწყვეტილება მხოლოდ მამაკაცმა უნდა მიიღოს, ხოლო 8 თვლის, რომ გადაწყვეტილებები ერთობლივად უნდა იყოს მიღებული ოჯახში. აღსანიშნავია რომ გამოკითხულთა აბსოლუტური ნაწილი ქალს, როგორც გადაწყვეტილების მიმღებ პირს არ ასახელებს.

„ოჯახში გადაწყვეტილებებს ძირითადად ქმარი იღებს, კაცია და მეტი სიტყვა ეთქმის, მე ჩემი ადგილი ვიცი.აბა ის ოჯახია ქალია რომ კაცს თავზე ახტება“ ***(ნინო, 38 წლის, საშუალო განათლება)***

ოჯახის შექმნა, ქართული საზოგადოების აზრით, ადამიანის ცხოვრების აუცილებელი კომპონენტია. ოჯახის შექმნის გარეშე ადამიანის ცხოვრება არ მოიაზრება სრულფასოვნად. აღნიშნულს მოწმობს ის ფაქტი, რომ გამოკითხულთა საკმაოდ დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ **ცუდ ქორწინებაში ყოფნა ჯობია საერთოდ დაუოჯახებლად ყოფნას**. 100 გამოკითხული ქალიდან 37 ემხრობა ამ პოზიციას, 12 ირჩევს დაუოჯახებლად ყოფნას ხოლო 51 უგულებელყოფს ორივეს. მაშინ როცა 30

მამაკაცი ემხრობა აღნიშნულ მოსაზრებას, 15-ს უჩევნია დაუოჯახებლად ყოფნა ხოლო 55 უგულებელყოფს ორივეს.

ქალის ცხოვრებაში ოჯახის მნიშვნელოვნებას ხაზს უსვამს გამოკითხულთა 70%-ის მიერ გაზირებული მოსაზრება, რომ ზოგადად, **ქორწინებაში მყოფი ქალი უფრო ბედნიერია ვიდრე დაუქორწინებელი**. არც აღნიშნული დებულების შემთხვევაში ფიქსირდება სხვაობა სხვადასხვა გენდერის ჭრილში - როგორც ქალების, ისე მამაკაცების 70% ეთანხმება აღნიშნულ მოსაზრებას.

*„ჯობია მარტოხელობას, ვინმეს გვერდით იყო.ის მაინც გეცოდინება რო ქმარი გყავს, მარტო არ ხარ. გაჭევს, გასმევს. ვის არ ქონია ოჯახში პრობლემა, ცოტა უნდა მოითმინო“(**ნათია 39 წლის, საშუალო განათლება)***

ქართულ საზოგადოებაში ოჯახი არის ის ექსკლუზიური სფერო, სადაც აუცილებელია მოხდეს ქალის თვითრეალიზაცია მის მიერ ოჯახის დიასახლისისა და დედის როლის შეთავსების შედეგად. (ბენდელიანი, 2012) ქალისათვის ოჯახის მნიშვნელობა მჟღავნდება, უპირველეს ყოვლისა, უმრავლესობის (68%) მიერ გაზიარებულ აზრში, იმის თაობაზე, რომ **ქალი უფრო ბავშვის გაზრდითა და სახლის მოვლით უნდა იყოს დაკავებული და არა პროფესიული წინსვლით**. ამ მოსაზრებას უფრო მეტად მამაკაცები იზიარებენ - 100 გამოკითხული ამმაკაციდან -83 ვიდრე ქალები -100 გამოკითხული ქალიდან- 71. გამოკითხულთა საკმაოდ დიდი ნაწილი (187- 200-დან) იზიარებს მოსაზრებას, რომ **ქალის ყველაზე მნიშვნელოვანი როლი ცხოვრებაში არის ოჯახზე ზრუნვა.** აღნიშნულ დებულებას სრულიად ეთანხმება 100 გამოკითხული ქალებიდან- 91, ხოლო მამაკაცებიდან- 96.

*„ ქალმა პირველ რიგში ოჯახს და შვილებს უნდა მიხედოს, ჩემს მეუღლესაც დავანებებინე მუშაობას თავი, ძალიან იღლებოდა ჩვენთვის დრო აღარ რჩებოდა. შვილებისთვის ძიძის აყვანა კი არ მინდოდა. რატომ უნდა გავაზრდევინო შვილები ვიღაც ქალს, როგორც დედა მოუვლის და აღზრდის ისე ვერავინ სხვა“. (**ნიკა 37 წლის, უმაღლესი** განათლება.)*

10.3 ძალაუფლების იერარქია ოჯახის შიგნით

ფსიქოლოგ ნანა გოგიჩაშვილის თქმით : „ურთიერთობები და ძალაუფლებრივი მიმართებები ოჯახში უდაოდ ახდენს გავლენას მისი წევრების ემოციურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე, რაც ადამიანის ქცევაში პოულობს გამოხატულებას. ქალის დაქვემდებარებული როლი ოჯახში და ნებისმიერი ტიპის შეზღუდვა შესაძლოა უარყოფითად აისახოს ქალის თვითშეფასებაზე, რამაც განაპირობოს მისი დაქვემდებარებული ქცევა ოჯახის გარეთაც. დაბალი თვითშეფასების ქალი შესაძლოა ნაკლები ამბიციით მიუდგეს საკუთარი სამსახურის პოვნის პროცესს ან არსებულ სამსახურს (დათანხმდეს დაბალ ხელფასს და უარეს პირობებს).“ (გოგიჩაშვილი, 2018)

როგორც კვლევის შედეგები ცხადყოფს, ქართული ტრადიციული აღქმები და ჩვეულებები ქართველ ქალს ხატავს როგორც **მორჩილ ცოლს, დიასახლისსა და დედას.** ქალის სამსახური და კარიერა ნაკლებად მნიშვნელოვნად ითვლება. მოიაზრება, რომ ქალის სრული რეალიზაცია შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ მის მიერ ოჯახის შექმნის და მეუღლისა და დედის როლის შეთავსების შედეგად, მაშინ, როდესაც კაცის შემთხვევაში კარიერა და ოჯახი ან ერთნაირად მნიშვნელოვანია ან კარიერას უფრო დიდი წონა აქვს. შესაბამისად, სოციალურ დონეზე ქალს მოეთხოვება, რომ კაცის მორჩილი იყოს, მისი სურვილის შესაბამისად მოიქცეს და საკუთარი სურვილები და მოთხოვნილებები უკანა პლანზე გადაწიოს. ამგვარი აღქმები ზოგადად დამახასიათებელია კაცის მიერ დომინირებულ, პარტიარქალურ საზოგადოებაში და საქართველოც სწორედ ამგვარ საზოგადოებად მიიჩნევა. „ქალი უნდა იყოს მორჩილი ცოლი, დიასახლისი და დედა“- ემხრობა 100 ქალი რესპოდენტიდან 76, ხოლო მამაკაცებიდან-87.

კვლევის შედეგების თანახმად, გამოკითხულთა უმრავლესობა თვლის, რომ **კარგი ცოლი უნდა დაემორჩილოს მეუღლეს, მაშინაც კი, როდესაც არ ეთანხმება მას.** აღნიშნულ მოსაზრებას იზიარებს 100 გამოკითხული ქალიდან 79 და მამაკაცებიდან - 88.

ასევე რესპონდენტების საკმაოდ დიდი ნაწილი ეთანხმება დებულებას, რომლის თანახმად, **მნიშვნელოვანია, კაცმა აჩვენოს ცოლს/პარტნიორს ვინ არის სახლში უფროსი.** ამ შემთხვევაშიც უფრო მეტი კაცი (86) აფიქსირებს პოზიტიურ პასუხს ქალებთან შედარებით (49).

იმასთან ერთად, რომ პრობლემურია ოჯახის შიგნით არსებული იერარქია და მის შედეგად გამოწვეული უთანასწორობა, პრობლემას წარმოადგენს **თავად ქალების დამოკიდებულება** ოჯახში არსებული მსგავსი სიტუაციის მიმართ. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ქალების საკმაოდ დიდ ნაწილს აქვს **დაბალი თვითშეფასება და მორჩილებისკენ მიდრეკილება.** მსგავსი თვითაღქმის მქონე ქალები ნაკლებად სავარუდოა, რომ აქტიურები იყვნენ დასაქმებისა თუ პოლიტიკური აქტივობის მიმართულებით. სწორედ ამიტომ ქალთა დაბალი თვითშეფასება მათი პოლიტიკურ და ბიზნეს-აქტივობებში ჩართვის მნიშვნელოვან ბარიერად შეიძლება მოვიაზროთ.

„ქალი კაცს აუცილებლად უნდა ემორჩილებოდეს, ოჯახი ოჯახს ვერ დაემსგავსება სადაც კაცი თავის სიმაღლეზე არ დგას, ცოტა გაიზრდებით თქვენ ეს ახალგაზრდებიც და მიხვდებით ამას.“ ***(თამარი 46 წლის, უმაღლესი განათლება)***

რაც შეეხება სექსუალურ ცხოვრებას, გამოკითხულთა უმეტესი ნაწილი არ მიიჩნევს მიზანშეწონილად მამაკაცმა ან ქალმა **სურვილის გარეშე დაამყაროს სექსუალური კავშირი მეუღლესთან**. თუმცა, უფრო მეტია რესპონდენტი, რომელიც თვლის, რომ ქალია ვალდებულია სურვილის არქონის შემთხვევაში დაამყაროს მეუღლესთან სექსუალური კავშირი (74 ქალი და 85 მამაკაცი).

საინტერესო იყო გამოკითხულთა მოსაზრება განქორწინებასთან დაკავშირებით. კვლევის მონაწილეების საკმაოდ დიდი ნაწილი (117) მიიჩნევს, რომ **განქორწინება საუკეთესო გამოსავალია როდესაც წყვილი ვერ აგვარებს ოჯახურ პრობლემებს და ხშირად აქვს უთანხმოება (შელაპარაკება, ჩხუბი).** თუნდაც აზრის დაფიქსირების დონეზე მსგავსი დამოკიდებულების არსებობა პროგრესულად შეიძლება მოვიაზროთ, მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკაში განქორწინება ბევრ ბარიერთან და დაბრკოლებასთან შეიძლება იყოს ასოცირებული, განსაკუთრებით ქალის შემთხვევაში, რასაც თვისებრივი კვლევის შედეგებიც მოწმობს აღსანიშნავია, რომ

აღნიშნულ მოსაზრებას უფრო მეტი ქალი ეთანხმება (65 ქალი), ვიდრე კაცი (52 ამმაკაცი).

10.4 დასაქმება

ქალის დასაქმებასთან დაკავშირებული მოსაზრებები დიდწილად განპირობებულია საზოგადოების წარმოდგენებით ქალისა და კაცის ქცევის მოდელებით ოჯახის შიგნით - რწმენებით იმის შესახებ, თუ რა უნდა წარმოადგენდეს ქალის როლსა და ფუნქციას ოჯახში და რა უნდა იყოს კაცის მოვალეობა და როლი. როგორც ზემოთ აღინიშნა, ქართული ტრადიციის თანახმად, კაცი ოჯახის უფროსია და მას ევალება ოჯახის რჩენა, ხოლო ქალი დიასახლისი და დედაა და მის მოვალეობას წარმოადგენს ქმრის მორჩილება, ოჯახზე და ბავშვებზე ზრუნვა. აღნიშნული დამოკიდებულებები პასუხობს შეკითხვაზე თუ - როგორ უნდა იყოს მოწყობილი საზოგადოება? თუმცა, საინტერესოა იმის ანალიზიც, თუ რატომ მიიჩნევს საზოგადოება ასეთ მოწყობას მართებულად, ანუ პასუხი შეკითხვაზე - რატომ უნდა იყოს ასე?

აღნიშნულ შეკითხვას პასუხს სცემს როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კვლევის მონაცემები. კვლევის ორივე კომპონენტის შედეგად გამოიკვეთა რამოდენიმე არგუმენტი, რომელიც საფუძვლად უდევს საზოგადოების პატრიარქალურ წარმოდგენებს.

ა) ოჯახის იერარქია ქართული ტრადიციების შესაბამისია - უპირველესი არგუმენტი მდგომარეობს იმაში, რომ ოჯახში როლების მსგავსი გადანაწილება შეესაბამება ქართულ ტრადიციებს. ტრადიციების ეჭვქვეშ დაყენება არ ხდება, შესაბამისად, საჭიროა ყველამ საკუთარი ქცევა ამ ტრადიციებს შეუსაბამოს.

ბ) ოჯახზე ზრუნვა ქალის უპირობო მოვალეობაა/ ქალი ოჯახში შეუცვლელია - ზოგადად მიიჩნევა, რომ ქალი ვერ იქნება ისეთივე წარმატებული კარიერაში როგორც

კაცი, რადგან მას ობიექტურმა გარემოებებმა შეიძლება შეუშალოს ხელი - ოჯახის საქმეების გამო მან შეიძლება დიდი დრო ვერ დაუთმოს კარიერას. აღნიშნული მოსაზრების უკან დგას ის სტერეოტიპული მოსაზრება, რომ ოჯახის საქმეების კეთება აუცილებლად ქალის პრეროგატივაა, ესაა საქმე, რომელიც მან ყველა შემთხვევაში უნდა გააკეთოს და მეუღლე ამ საქმეს ვერ გაინაწილებს. შესაბამისად, თუ ქალს სურს კაცივით წარმატებული იყოს კარიერაში, მაშინ მან არჩევანი უნდა გააკეთოს კარიერას და ოჯახს შორის, კაცს კი მსგავსი არჩევანის გაკეთება არ უწევს. ამასთან, ზოგადად, ქალისთვის ბევრად მნიშვნელოვანია შვილებს მიხედოს, გაზარდოს ახალი თაობა,მოუაროს ქმარს-საზოგადოებისთვის ეს არის მნიშვნელოვანი და არა მისი მუშაობა. ამიტომ, უმჯობესია ქალმა ოჯახს მიხედოს.

ა) ქალისთვის ბუნებრივია ოჯახზე ზრუნვა - გამოკითხულთა უმრავლესობა მოიაზრებს, რომ ქალისთვის სასიამოვნოა დიასახლისობა და ბავშვების აღზრდა და იგი ოჯახურ გარემოში უფრო ბედნიერად გრძნობს თავს. ოჯახის გარეშე იგი ვერ იქნება ბედნიერი და ვერანაირი წარმატება კარიერაში ვერ დაუკომპენსირებს მას ოჯახის მოვლით მიღებულ ბედნიერებას. ოჯახზე ზრუნვა ქალის ბუნებაში ზის, იგი მისთვის ორგანული საქმიანობაა.

ბ) ქალის სამსახური მარტივი უნდა იყოს და დიდ დროს არ უნდა მოითხოვდეს - მიიჩნევა, რომ ქალს შეიძლება ჰქონდეს სამსახური, თუმცა, მან ხელი არ უნდა შეუშალოს მას საკუთარი ოჯახის - მეუღლის და შვილების სრულფასოვან მოვლაში ისევ და ისევ იმიტომ, რომ ქალის უპირველესი მოვალეობა ოჯახზე ზრუნვაა. შესაბამისად, საზოგადოება ქალისთვის შესაფერისად გარკვეულ პროფესიებს მიიჩნევს (მაგალითად, მასწავლებელი, ექიმი და ა.შ.). ფროფესიებს, რომლებიც არ მოითოვენ დიდი დროს, სრულ განაკვეთს და ქალს რჩება დრო შვილებისა და სახლის მოვლა-პატრონობისთვის. (200 გამოკითხული რესპოდენტიდან ამ მოსაზრებას ემხრობა 152).

რიგ შემთხვევაში ოჯახში მამაკაცს შეიძლება არ სურდეს, რომ მისი მეუღლე მუშაობდეს. შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ ქართული ტრადიციის თანახმად, ქალი ქმრის მორჩილი უნდა იყოს და ამასთან, კაცია მთავარი

გადაწყვეტილების მიმღები პირი ოჯახში, ქალი შეიძლება არ იყოს დასაქმებული იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მის მეუღლეს სურს ასე.

„საქართველოში მაინც კაცების ინსტიტუტი მოქმედებს, გინდა თუ არა, ქალი უნდა იყოს სახლში. ზოგიერთი მამაკაცი ისეთია, რომ ელემენტარულად არ უნდა, რომ ქალი იყოს სამსახურში. მე ვარ შემომტანი შენ შვილებს მიხედე.“ ***(35 წლის , ნინო, საშუალო განათლება)***

„ოჯახიდან გამომდინარე, იმიტომ რომ ის სტომატოლოგი ღამის სამ საათზე აღარ იჯდება იქ და აღარ დააბჟენს კბილებს. ფარმაციაშიც შეიძლება ღამე გატეხოს კვირაში ერთხელ ღამე იყოს მორიგე მაგრამ იქ მაინც ჩაკეტილები არიან, კაცი არავინ არ არის. სუფთა საქმეა“. ***(48 , გია , საშუალო განათლება)***

როგორც სიღრმისეული ინტერვიუს შედეგები აჩვენებს, არსებობს გარკვეული პროფესიები, სადაც საზოგადოება ქალის დასაქმებას უფრო ოპტიმალურად და ბუნებრივად მიიჩნევს. თვისებრივი კვლევის შედეგების თანახმად, ქალისთვის შესაფერისად შემდეგი პროფესიები განიხილება:

• პედაგოგი სკოლაში ან კერძო რეპეტიტორი

• ფარმაცევტი

• ექიმი

• ბანკის ოპერატორი

• ხელოვნება (დიზაინერი, მკერავი, მუსიკოსი)

• მცირე ბიზნესი

• არასამთავრობო სექტორი

• მომსახურების სფერო

საინტერესოა, რომ პედაგოგიკა ქალისთვის უფრო შესაფერისად მიიჩნევა, ვიდრე კაცისთვის, რადგან „ქალი უფრო ამტანია“ და უფრო გაუძლებს სკოლაში სწავლების რეჟიმს. ამასთან, პედაგოგიკა მიიჩნევა ქალისთვის ოპტიმალურად, რადგან მას

მთელი დღის გატარება არ უწევს სამსახურში. ასევე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საზოგადოებრივი აღქმის დონეზე პედაგოგი ქალი მომავალი თაობის აღმზრდელია, შესაბამისად, რაღაც კუთხით იგი ახდენს ოჯახში საკუთარი როლის გადმოტანას უფრო ფართო მასშტაბებში.

10.5 კაცი და ქალი პოლიტიკაში - შედარებითი ანალიზი

არსებობს სტერეოტიპი იმის შესახებ, რომ პოლიტიკა კაცის საქმეა და მამაკაცები უფრო წარმატებული პოლიტიკოსები არიან ვიდრე ქალები. ცოლ-ქმრულ წყვილთა შორის არსებობს შემთხვევები, როდესაც მამაკაცი მის მეუღლეს უკრძალავს პოლიტიკურ საქმიანობას. ამ მიზეზით ხშირია ოჯახური კონფიქტები და წყვილთა შორის დავა.

როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ პოლიტიკა უფრო მეტად მამაკაცთა საქმიანობის სფეროდ განიხილება. გამოკითხულთა უმრავლესობის აზრით, ქალის ადგილი პოლიტიკაში კონკრეტული, ლიმიტირებული ნიშით უნდა შემოიფარგლოს.

რაოდენობრივი კვლევის მონაწილეების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ზოგადად კაცს უფრო შეეფერება პოლიტიკური საქმიანობა ვიდრე ქალს გამოკითხული 100 ქალიდან ამ მოსაზრებას ეთანხმება 58, ხოლო მამაკაცებიდან 87 . უმრავლესობა მიიჩნევს, რომ კაცები ქალებთან შედარებით უკეთესი პოლიტიკური ლიდერები არიან.

მონაცემების გენდერის ჭრილში განხილვა აჩვენებს, რომ უფრო მეტი კაცი მიიჩნევს, რომ კაცები ქალებთან შედარებით უკეთესი პოლიტიკური ლიდერები არიან და რომ, ზოგადად, პოლიტიკა უფრო მეტად კაცებისთვის შესაფერისი სფეროა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მართალია მამაკაცებთან შედარებით მცირე პროპორციით, მაგრამ მაინც, ქალების უმრავლესობაც იზიარებს მოსაზრებას, რომ კაცი უკეთესი პოლიტიკური ლიდერია და პოლიტიკა კაცის საქმიანობის სფეროა

*„ძირითადად პოლიტიკაში კაცები უფრო წარმატებულები არიან. იშვიათი ქალია, მსოფლიოს მასშტაბით რამდენიმე ქალი თუ ჩანს ძლიერი, რომლებმაც მიაღწიეს რაღაცას.“(**33 წლის , ლევანი , უმაღლესი განათლება)***

საინტერესოა იმ მიზეზების ანალიზი, რომელიც განაპირობებს ქალის პოლიტიკაში ჩართულობის მიმართ მსგავს დამოკიდებულებას. სიღრმისეული ინრევიუსა და კვლევის შედეგად გამოიკვეთა რამოდენიმე ფაქტორი, რომელიც განაპირობებს კაცის უპირატესად აღქმას პოლიტიკის სფეროში და შესაბამისად, ქალისთვის პოლიტიკის ნაკლებად შეთავსებადობას. ეს ფაქტორებია:

1. ქალის განსხვავებული ბუნება - ქალის, როგორც სუსტი არსების აღქმა მამაკაცთან შედარებით

2. ქალის ოჯახში დაკავებულობა

3. პოლიტიკური საქმიანობის სპეციფიკა

4. ოჯახის წევრების (მეუღლის) ნეგატიური დამოკიდებულება

5. ამომრჩეველთა მხრიდან ქალის მხარდაჭერის უფრო დაბალი ალბათობა

მცირეა ქალთა წარმომადგენლობა საქართველოს პარლამენტში, აღმასრულებელ ხელისუფლებასა და კერძო სექტორში. მართალია, პროცენტულად ასეთ ორგანიზაციებში დასაქმებულ ქალთა რიცხვი დიდია, მაგრამ მათი უმრავლესობა დაბალ თანამდებობრივ საფეხურებზეა წარმოდგენილი, მაშინ როცა გადაწყვეტილების მიმღები პოზიციების უმრავლესობა მამაკაცებს ეკუთვნით (მაგ. საჯარო სამსახურში მაღალ თანამდებობებზე წარმოდგენილია 2318 მამაკაცი და 298 ქალი). (საქსტატი) მიიჩნევენ, რომ ქალებისათვის ბევრად სასურველია მოირგონ ნაკლებად აქტიური, თუნდაც ნაკლებად პრესტიჟული პროფესიული როლები იმისათვის, რომ ოჯახსა და შვილების აღზრდას მეტი დრო დაუთმონ.

10.6 გართობა

ხირად ცოლ-ქმარს შორის კონფლიქტს იწვევს გართობასთან დაკავშირებული საკითხები. მამაკაცებს ამ კუთხით უფრო დიდი თავისუფლება აქვთ ვიდრე ქალებს. ამ საკითხზე დავას ხშირად მწვავე კონფლიქტამდეც მივყავართ.

სტერეოტიპულმა დამოკიდებულებამ ნათლად დაგვანახა რამდენად არის შეზღუდული ქალი კუმისში (ეს შედეგები შეგვიძლია განვაზოგადოდ სხვა სოფლებზეც, რადგან კუმისი ცხოვრების დონითა და განათლებით ბევრად უსწრებს სხვა სოფლებს საქართველოს მაშტაბით) (საქსტატი) კვლევის შედეგები ცხადყოფს რომ „ნორმალურ გოგო“ 9 საათის შემდეგ სახლიდან გარეთ არ უნდა გადიოდეს, თუნდაც მეგობრებთან ერთად. ითვლება რომ ასეთი გოგო არ არის „პატიოსანი“, „ოჯახში შესაყვანი“. აქ უკვე ზედმეტია ლაპარაკი, კლუბში ან ბარში სიარულზე.

კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ქალები, მამაკაცებთან შედარებით, ნაკლებად მიმართავენ დროის სასიამოვნოდ გატარების ისეთ საშუალებებს, როგორიცაა რესტორანში, ლუდის ბარში/სახინკლეში ან კაფე/ბარში სიარული, ასეთ ადგილებში სიარულის სიხშირის მხრივ ქალების წილი, რომლებიც ასეთ აქტივობას არასდროს ახორციელებენ, ბევრად უფრო დიდია, ვიდრე მამაკაცების. აღმოჩნდა, რომ ქალების (46) და კაცების (48) თითქმის თანაბარი წილი, სულ მცირე, თვეში ერთხელ მაინც ქეიფობს ნათესავებთან, მეგობრებთან ან მეზობლებთან ერთად.

„ სად მაქვს დრო გასართობად, იმდენი საქმეა საღამოს ადგილზევე მეძინება ხოლმე. ძირითადად გულს მეზობლებთან თუ გადავაყოლებ“. ***(ფატი, 45 წლის, უმაღლესი განათლება)***

10.7 ქალი საჭესთან

ცოლ-ქმრულ წყვილს შორის კონფლიქტის გამომწვევი მიზეზი ხშირად არის სტერეოტიპები ავტომობილის მართვასთან დაკავშირებით. ითვლება რომ ქალი

ცუდი მძღოლია და ამ „თავისუფლების მინიჭებით“, მეუღლეები ცოლზე კონტროლს კარგავენ.

გამოკითხულთა უმრავლესობა თვლის, რომ ქალი ცუდი მძღოლია, მაგრამ აღმოვაჩინე ისეთი ადამიანებიც, რომლებიც თვლიან რომ მისი მეუღლე საჭესთან არ უნდა იჯდეს. მიაჩნიათ , რომ ეს კაცის საქმეა და თავის ცოლს არ მისცემს უფლებას მართოს მანქანა.

ზოგიერთი ადამიანი მპასუხობდა, რომ „არ დაუშვებს ცოლი ვინმეს აგინებინოს“. (აქ იგილისხმება ის მომენტი, როდესაც ქალი ცუდად მართავს მანქანას და სხვა მძღილები აგინებენ მას)

“მე არ მომწონს და არც მივცემ ჩემს ცოლს უფლებას მართოს მანქანა, ეს კაცის საქმეა, ქალი კაცზე უკეთესად ვერასდროს ატარებს მანქანას და ნამდვილად არ მინდა ჩემი ცოლი საგინებელი გახდეს“ ***(ლევანი 26 წლის, უმაღლესი განათლება)***

100 გამოკითხული ქალიდან 76 თვლის რომ ქალი საჭესთან უნდა იჯდეს, ხოლო 24 არ იზიარებს ამ მოსაზრებას. რადიკალურად განსხვავებული შედეგები დაფიქსირდა მამაკაცების შემთხვევაში. 100 გამოკითხული მამაკაციდან 67 -თვის ქალის საჭესთან ჯდომა მიუღებელია.

10.8 რძალ-დედამთილის ურთიერთობა.

ხშირად ვხვდებით პრობლემას, უნდა ეძახდეს თუ არა ქალი დედამთილს “დედას”. თუკი ქალაქებში ამგვარი დამოკიდებულება გარკვეულწირად შემცირებულია რეგიონებში და მათ შორის კუმისშიც ხშირ შემთხვევაში რთული სიტუაციაა. საზოგადოების უმრავლესობა თვლის რომ რძალმა უნდა დაუძახოს დედამთილს დედა ხშირ შემთხვევაში ქმრები მოითხოვენ ცოლებისაგან ამ ყველაფერს. ამით ისინი კარგები და ჟარგონულად რომ ვთქვა “მარკებამაღლებულები“ გამოჩნდებიან მეზობლების, მათი გარშემომყოფების თვალში. სიღრმისეული ინტერვიუს დროს დედამთილები საუბრობდნენ თავიაანთ რძლებზე და საკმაოდ დიდ ყურადღებას აქცევენ, ეძახიან თუ არა ისინი მათ დედას.

„ უნდა დაუძახოს დედა აბა რა უნდა ქნას, ოჯახში შედის, შვილივით იღებენ, ყველაფერს უკეთებენ და დედაც არ დაუძახოს ?!, კარგი გაზრდილი შვილი დედამთილს დედას უთქმელად და უპრობლემოდ დაუძახებს“ ***(ნათელა, 52 წლის საშუალო განათლება)***

ხშირად ამ პრობლემის გამო იძაბება ურთიოერთობა დედამთილსა და რძალს შორის, რაც მოქმედებს ცოლისა და ქმრის ურთიერთობაზე და ხშირ შემთხვევაში ოჯახები ინგრევა.

10.9 „ზნეობა“

აქტუალურია საკითხი ქალის ზნეობრიობის შესახებ - რაც „კაცს შეიძლება ეპატიოს, ქალმა არ უნდა იკადროს“. შეკითხვაზე, თუ რატომ - უმრავლესობა ამბობს, „იმიტომ, რომ კაცია“,მაგალითად, თუ ქალისთვის ქორწინებამდე სექსუალური კავშირის დამყარება უზნეობად ითვლება, მამაკაცისთვის ეს ღირსებაა.საინტერესოა, რომ ქალის მიერ კაცის ღალატზე თვალის დახუჭვა გარკვეულწილად ქალის ღირსებად შეიძლება მოიაზრებოდეს - ქალი იმისთვის, რომ შეინარჩუნოს ოჯახი და იყოს კარგი დედა იგი მამაკაცს პატიობს ღალატს. მის მსგავს ქცევას ხელს უწყობს ისიც, რომ საზოგადოება კაცის ღალატს არ აფასებს როგორც განსაკუთრებულად მიუღებელ საქციელს, მაშინ როდესაც ქალის მიერ კაცის ღალატი მძიმედ გაკიცხვადი საქციელია.ვის ეპატიება ღალატი ? - ამ კითხვაზე 100 გამოკითხული ქალიდან 79 პასუხობს -მამაკაცს, 21- არცერთს, ხოლო 100 გამოკითხული მამაკაციდან 84 პასუხობს მამაკაცს და 16 -არცერთს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ქალს, როგორც ღალატის ჩამდენს არც მამაკაცები და არც ქალბატონები არ ასახელებენ.

რაც შეეხება სქესობრივი ურთიერთობის დამყარებას ქორწინებამდე, ამ შემთხვევაშიც გამოკითხულთა უფრო დიდი რაოდენობა მიიჩნევს მსგავს ქცევას არამართებულად ქალისთვის (97), ვიდრე კაცისთვის (84).

არასამთავრობო ორგანიზაციის ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელის წარმომადგენლის განმარტებით, ბევრი კონფლიქტი და ძალადობის შემთხვევები

გაუხმაურებელია, ისევ და ისევ სტერეოტიპული აზროვნების დამოკიდებულების გამო.

„რაც შეეხება სტატისტიკას მოგეხსენებათ ასე თუ ისე ბევრი არასამთავრობო თუ სამთავრობო დაწესებულება არსებობს რომელიც მუშაობს ამ საკითხზე, თუმცა ჩვენი სტატისტიკის სამსახური ბუნებრივია და ლოგიკურია მუშაობს ჩვენ ორგანიზაციაში არსებულ სტატისტიკაზე. მარტივად რომ გითხრათ არსებული 100 პრობლემიდან ჩვენამდე რეალურად მოდის 10-15 პრობლემა, იღებენ ჩემი და ჩემი კოლეგების რჩევებს, რეკომენდაციებს მაგრამ აუცილებელი მოთხოვნა აქვს თითოეულ მათგანს, რომ ინფორმაცია არ გასცდეს ჩვენი ორგანიზაციის კედლებს. ხშირია შემთხვევები ფიზიკური შეურაცხყოფისა და ჩვენ ბუნებრივია ვურჩევთ რომ მიმართონ სასამართლოს ამ საკითხის მოსაგვარებლად, გამოიცემა შემაკავებელი აქტი და პრობლემა მოგვარდება, მაგრამ ყველას სტანდარტული პასუხი აქვს **"რას იტყვის ხალხი, არ მინდა მეზობლებმა ჩემზე იჭორავონ"** მე ნებისმიერ ადამიანს ვურჩევ, თავდაპირველად დაიცვას საკუთარი დარღვეული უფლება და როდესაც ჩვენ ვისწავლით პირადად ჩვენი უფლებების დაცვას, არ ვიფიქრებთ რას ილაპარაკებს ჩვენზე ჭორიკანა მეზობელი მერე შეიძლება გვგქონდეს პრეტენზია ჯანსაღი ქვეყნის არსებობაზე. როცა შენ გცემენ, ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახორციელებენ შენზე, ამ ყველაფერს უყურებს შენი არასრულწლოვანი შვილი და შენ ფიქრობ რას იტყვის მეზობელი, სხვისი აზრი უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე საკუთარი პრობლემის მოგვარება, არ არის ლოგიკური. “ (წარმომადგენელი, 2018)

შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით ბოლო სამ თვეში ოჯახური დანაშაულის ბრალდებით 855 პირი იქნა დააკავებული, მათ შორის უმეტესობა ცოლ-ქმარს შორის კონფლიქტის შედეგად არის დაკავებული.

სამართალდამცველებმა მსხვერპლთა დაცვის მიზნით შემაკავებელი ორდერი 1402 პირის მიმართ გამოსცეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის დირექტორის - ლონდა თოლორაიას ბრიფინგიდან გამომდინარე, ოჯახური

დანაშაულისა და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტია.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების ერთობლივი მუშაობის შედეგად, პოლიციაში მიმართვიანობის მაჩვენებელი გაიზარდა. 2017 წლის პირველ სამ თვეში გამოძიება დაიწყო ოჯახური დანაშაულის ნიშნების შემცველ 530 შეტყობინებაზე, ხოლო 2018 წლის ანალოგიურ პერიოდში ორჯერ მეტ - 1 179 შეტყობინებაზე, რაც ადასტურებს, რომ პოლიციისადმი ნდობა გაზრდილია როგორც ძალადობის მსხვერპლთა, ასევე, აღნიშნული დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მქონე პირთა მხრიდან.

თუმცა არსებობენ მსხვერპლები, რომლებიც თავს იკავებენ სამართალდამცველებთან თანამშრომლობისგან, არ ატყობინებენ დანაშაულის შესახებ პოლიციას ან შეტყობინების შემდეგ უარს აცხადებენ მოძალადის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე, რაც მოძალადეს უბიძგებს ახალი და, როგორც წესი, უფრო მძიმე ძალადობის ჩადენისაკენ. (სამინისტრო შ. ს.)

11. დასკვნა

ბოლო წლების მანძილზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ქალთა ემანსიპაციის პროცესი კიდევ უფრო გაძლიერდა, რამაც გენდერული თანასწორობის გაძლიერებას შეუწყო ხელი. მიუხედავად ამისა, როდესაც საკითხი ეხება განათლებას, დასაქმებას, შემოსავალს, სამსახურეობრივი პოზიციების გადანაწილებას და საზოგადოების დამოკიდებულებას – კაცებს უპირატესი პოზიციები უკავიათ. ასეთი გენდერული სტერეოტიპები თაობიდან თაობას გადაეცემა. ხშირია სიტუაციები, როდესაც დედებიც და მამებიც თავიანთ ვაჟებს ეუბნებიან: „შენ კაცი ხარ, ძლიერი და მამაცი უნდა იყო... რა გატირებს გოგო ხომ არ ხარ?!... შენმა ცოლმა უნდა დაგიჯეროს... თუ ვინმემ დაგარტყა, უპასუხე და ა.შ.“ ასეთი მასკულინური აღქმა და მესიჯები ზეწოლას ახდენს მოზარდ ბიჭზე და, თუ ის ასეთ გარემოში გაიზრდება, ის აუცილებლად შეეცდება საპირისპირო სქესთან მიმართებაში იყოს დომინანტი, ძლიერი და შეუპოვარი. თუმცა კაცი შეიძლება მოხვდეს ისეთ სიტუაციებში, სადაც თავის სიმამაცეს ვერ გამოიყენებს და თავს უძლურად იგრძნობს. რა მოხდება ასეთ შემთხვევაში? ”კაცი დაიწყებს საკუთარ სისუსტეზე ფიქრს და თავს არაადეკვატურად და ხელმოცარულად ჩათვლის, რის შედეგადაც ავტორიტეტის აღდგენას ძალის გამოყენებით სხვებთან შეეცდება. აქ მთავრდება ციკლი, რომელიც მშობლის მიერ შვილისთვის „ნამდვილი კაცის“ სტერეოტიპის შექმნით დაიწყო და მოძალადე კაცით დასრულდა. სამწუხაროდ, ეს ციკლი ხშირად მეორდება და მამის მხრიდან შვილს გადაეცემა, რაც კულტურაში მასკულინობის ჰეგემონიას ამკვიდრებს. (იაგო კაჭკაჭიშვილი, 2014)

ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა რომ :

- ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ცოლ-ქმრული კონფლიქტების საკვლევად ჩამოყალიბებულ კითხვარის დებულებებში, შინაარსობრივად ძლიერად არის გამოხატული როგორც სტერეოტიპების ასევე შეჭიდულობისა და ადაპტაციურობის მახასიათებლები.

- სოფელ კუმისში მცხოვრები ცოლ-ქმრულ წყვილებს შორის საკმაოდ ხშირია გენდერული სტერეოტიპებით გამოწვეული კონფლიქტების შემთხვევები.
- ჯერ კიდევ მყარად არის ფესვგადგმული გენდერული სტერეოტიპებით აზროვნება, მაგალითად : 200 გამოკითხული ადამიანიდან არცერთმა აღნიშნა რომ შვილის მოვლა კაცის საქმეა, პირიქით, მათი უმრავლესობა ამ მოვალეობას მხოლოდ ქალის პრეროგატივად თვლის. საკმაოდ მცირე რაოდენობა აღიქვამდა ბავშვის მოვლას ორივეს ფუნქციად. აგრეთვე გამოკითხვის შედეგად დადგინდა რომ სოფელ კუმისის 200 მცოვრებიდან არცერთმა ჩათვალა, რომ სახლის მოვლა და საშინაო საქმეების შესრულება კაცის საქმეა, ხოლო გამოკითხული რაოდენობიდან არცერთი არ მიიჩნევს ქალს, როგორც ოჯახში გადაწყვეტილების მიმღებ პირს.
- ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენს თავად ქალების დამოკიდებულება ოჯახში არსებული კონფლიქტებისა და სხვადასხვა სიტუაციების მიმართ. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ქალების საკმაოდ დიდ ნაწილს აქვს დაბალი თვითშეფასება და მორჩილებისკენ მიდრეკილება. მსგავსი თვითაღქმის მქონე ქალები ნაკლებად სავარუდოა, რომ აქტიურები იყვნენ დასაქმებისა თუ პოლიტიკური აქტივობის მიმართულებით. სწორედ ამიტომ ქალთა დაბალი თვითშეფასება მათი პოლიტიკურ და ბიზნეს-აქტივობებში ჩართვის მნიშვნელოვან ბარიერად შეიძლება მოვიაზროთ. ისინი თრგუნავენ საკუთარ მოსაზრებებს, სურვილებსა მოთხოვნილებებს და ემორჩილებიან მეუღლეებს.
- სოფელ კუმისში ცოლ-ქმარს შორის არსებობს მაღალი შეჭიდულობა. ქალები უფრო მეტად არიან დამოკიდებულები მამაკაცებზე და ისინი მორჩილად ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობებს.
- ადაპტაციურობის მიხედვით გამოიკვეთა მცირე, მაგრამ სანდო განსხვავება. (განსხვავება შემთხვევითი არ არის). ადაპტაციურობა მამრობით სქესში არის დაბალი - (-0,14), ხოლო მდედრობით სქესში მაღალი - (0,07)

ყველაზე გავრცელებული გენდერული სტერეოტიპები, რომლებიც იწვევენ კონფლიქტს ცოლ-ქმარს შორის აღმოჩნდა :

1) „ ქალის ადგილი სახლშია“;
2) „ოჯახის მარჩენალი კაცი უნდა იყოს“;
3) „ოჯახში მთავარი გადაწყვეტილების მიმღები პირი კაცი უნდა იყოს“;
4) „შვილების მოვლა ქალის მოვალეობაა“;
5) „სახლის მოვლა-დალაგება ქალის მოვალეობაა“;
6) „კაცი მეტად წარმატებულია კარიერაში ვიდრე ქალი“;
7) „ქალი ცუდი მძღოლია“;

12. რეკომენდაციები

12.1 როგორ დავძლიოთ კონფლიქტი ოჯახში, ცოლ-ქმარს შორის.

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ ოჯახში კონფლიქტური სიტუაციები გარდაუვალია, რადგან ოჯახი შედგება რამდენიმე განსხვავებული ადამიანისგან, რომელთაც გააჩნიათ სხვადასხვა აზრი, ღირებულებები, გაგება, ჩვევები და სხვა. მთავარია არ უგულებელყოთ პრობლემა, წიინაღმდეგ შემთხვევაში ეს პრობლემა ცოტა ხანში თავს კონფლიქტში იჩენს. ისწავლეთ და მიეჩვიეთ პრობლემის კონტრუქციულად მოგვარებას. თავს ნუ აარიდებთ კამათს - ისწავლეთ ჟანსაღი კამათი. გაითვალისწინეთ ორივე მხარის აზრი და მოძებნეთ გამოსავალი. ნუ დაუწყებთ დამნაშავის მოძებნას, გაერთიანდით და დასვით მთავარი საკითხი - „როგორ მოვიქცეთ ამ პრობლემის დასაძლევად?“ ყოველთვის გახსოვდეთ, რომ თუ თქვენს ოჯახში მოხდა კამათი, ეს იმისთვისაა, რომ გაარკვიოთ თქვენი ურთიერთობები, შერიგდეთ და კვლავ განაგრძოთ წყნარი ცხოვრება უკეთესად.

- არ მოიბოდიშოთ დროზე ადრე;
- არ აარიდოთ თავი კამათს, არ გაჩუმდეთ და არ ჩაიკეტოთ საკუთარ თავში. ისაუბრეთ თქვენი გრძნობების შესახებ ახსენით რატომ არის ეს საკითხი თქვენთვის ასეთი მტკივნეული და სხვა;
- არ მიაყენოთ ერთმანეთს პირადი შეურაცხოფა;
- არ თქვათ, რომ ყველაფერი როგზეა, როდესაც სინამდვილეში ნაწყენი ხართ. ეს წყენა ოდესმე აუცილებლად იჩენს თავს;
- პირდაპირ ვუთხრათ უკმაყოფილების მიზეზი და არა არაპირდაპირად გააგონოთ მეუღლეს თქვენი უკმაყოფილება;
- ნუ დაემუქრებით ;
- იკამათეთ ბავშვების დაუსწრებლად;
- გულახდილად ისაუბრეთ საკუთარ გრძნობებზე;
- გაარკვიეთ რაში ეთანხმებით და რაში არა მეორე ნახევარს;

- დაელოდეთ ვიდრე თქვენი ფეთქებადი მეუღლე დაწყნარდება და მერე მშვიდად განიხილეთ მომხდარი;
- თუ თქვენს კონფლიქტს ბავშვი შეესწრო, კამათის ბოლოს აუცილებლად შერიგდით, ჩაეხუტეთ ერთმანეთს, აკოცეთ. ბავშვებმა უნდა დაინახონ რომ ყველაფერი რიგზეა და თქვენს ოჯახს არაფერი არ ემუქრება;

როგორც კვლევა ცხადყობს ცოლ-ქმრულ კონფლიქტებში მნიშვნელოვანი როლი უკავია გენდერულ სტერეოტიპებს. ინფორმაციულობა ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს საზოგადოებაში. მათ კარგად არ აქვთ გათავისებული რას ნიშნავს გენდერული თანასწორობა, რა არის სტერეოტიპი. არ აქვთ ინფორმაცია იმ სახელმწიფო/არასახელმწიფო ორგანოების შესახებ, სადაც შეუძლიათ დაცულები იყვნენ ძალადობისგან.

- სასურველია მოხდეს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ზემოთ ხსენებულ საკითხებზე ტრენინგებით, სათანადო ლიტერატურის მიწოდებით, საჯარო ლექციებით.
- სახელმწიფო/არასახელმწიფო ორგანოების მიმართ მათი ნდობის გამოწვევა.
- საზოგადოების, მათ შორის ძალადობის მსხვერპლი ადამიანების დუმილის დარღვევა, გააქტიურება საკუთარი უფლებების დასაცავად და სტერეოტიპების აღსაკვეთად.

ნებისმიერი კონფლიქტი წარმოიშობა ადამიანებს შორის, რომლებიც ცდილობენ ერთმანეთში საერთო ენის მოძნებნას. ამიტომ კონფლიქტებს უნდა მივუდგეთ მშვიდად, ფილოსოფიურადაც კი.

ყველა ადამიანი უნიკალურია თავისი გამოცდილების, აღზრდის, განათლებისა და მსოფლმხედველობის მიხედვით. თუ თქვენ მეუღლესთან ხშირად გექმნებათ კონფლიქტი, ეს არ არის საკმარისი მიზეზი მასთან დაშორებისათვის, ან რაიმე სხვა რადიკალრი ზომის მისაღებად. ეს მხოლოდ იმაზე მიანიშნებს, რომ თქვენ უნდა ისწავლოთ კონფლიქტების გადაჭრა და ეს უნდა გააკეთოთ ისე, რომ დაუკმაყოფილებლობის გრძნობა არ დაგრჩეთ არც თქვენ და არც თქვენს ქმარს.

ბიბლიოგრაფია

Aadler, A. (1907). *Individual psychology.*

Argyle, H. &. (1985). *The rules of social relationships.*

CSS. (2007). *გენდერის საკითხავი ლიტერატურა.* თბილისი.

Gouges, O. d. (1980). *declaration of the Rights of Women.*

Gumbe, N. (2017). *The Marriage Book.*

Jeffrey Z. Rubin, D. G. (1994). *Social Conflict : Escalation, Stalemate, and Settlment .* New York.

Klekovich. (1930). *Family History and Vital Records.*

Knapp. (1984). *Economics and Social Policy.*

Knapp, M. (1984). *conflicts and family.*

Krech, D. (1948). *Theory and Problems of Social Psychology.*

MALIAROVA, N. V. *Analysis of Family Conflicts.*

Michael Argyle, A. F. (1981). *Social Situations.*

Mill, J. S. (1861). *The Subjection of Woman.*

Murdock, G. P. (1995). *the universal functioning of the family. The family – a functionalist perspective. Families and Households.*

Parsons, T. (1951). *the basic and irreducible functions of the family. Families and Households.*

Schiamberg. (1983). *Schiamberg .*

Taylor. (A. R. 1996). *Family .*

Taylor, H. (1983). *Enfranchisment of Women.* London, Virago.

USAID. (2012). *United States Strategy to Prevent and Respond to Gender-based Violence Globally*.

USAID. (2016). *United States' Strategic to Preventing and Responding to Gender-based Violence .*

Willstonecraft, M. (1978). *A Vindication of the Rights of Woman.*

XXI, კ. (n.d.). *kumisi.ge*. Retrieved from http://www.kumisi.ge/

Zuskova, O. (1985). *Удовлетворенность браком на разных стадиях супружеских отношений у мужчин и женщин.*

А., К. Н. (2005). *семья.*

А.В., Ч. (2001). *Системная семейная терапия: Интегративная модель диагностики.*

Борисов, и. *Межличностные отношения.*

Гозман, Л. Я. (1987). *Процессы межличностного восприятия в семье .*

Гришина, Н. (2008). *Психология Конфликта, Конфликтология» учебное пособие;.* Киев • Харьков • Минск .

политике, К. п. (2009). *Семья: определения, типы, функции, Справочная система методической поддержки учреждений социального обслуживания семей и детей .* Санкт-Петербург.

Посысоев, Н. (2004). *Основы психологии семьи и семейного консультирования.*

ა.კოვალევი. (1987). *ბუნებრივი გარემო და ადამიანი: თანამედროვე პრობლეები და მათი გადაწყვეტის გზები. .*

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. (2003).

ბენდელიანი, ნ. (2012). *გენდერული თანასწორობის შეფასება საქართველოში საერთაშორისო ინდექსისა და რეიტინგების მიხედვით.* თბილისი.

ბერეკაშვილი, ნ. (2018, 04 22). ძალადობა. (ს. გიორგაძე, Interviewer)

ბექაური, ნ. (2004). *ოჯახური ძალადობა და ადამიანების ტრეფიკინგი, როგორ დავიცვათ ჩვენი უფლებები, .* თბილისი.

გოგიჩაშვილი, ნ. (2018, აპრილი 18). ურთიერთობები და ძალაუფლებრივი მიმართებები ოჯახში. (ს. გიორგაძე, Interviewer)

ენციკლოპედია, თ. (n.d.). *ka.wikipedia.org*. Retrieved from https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98

ზურიკაშვილი, მ. ჯ. (2002). *კონფლიქტი, გენდერი, მშვიდობისმშენებლობა.* თბილისი: უნიფემისგამომცემლობა, .

ი.ე. ალიოშინა ი.ი. ბორისოვი. (1993).

იაგო კაჭკაჭიშვილი, ბ. ნ. (2014). *კაცები და გენდერული ურთიერთობები.* თბილისი.

ლექსიკონი, ე. (n.d.). *nplg.gov.ge*. Retrieved from http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=9581

ლექსიკონი, ე. (n.d.). *nplg.gov.ge*. Retrieved from http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=srch&d=5&id_srch=98f5f6a451014d2c1f4b86eeca7f77f4&il=en&p=1

ლექსიკონი, ქ. ე. (n.d.). *ice.ge*. Retrieved from http://www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php

პარლამენტი, ს. (n.d.). *police.ge*. Retrieved from http://police.ge/files/2016/%E1%83%9D%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%A8%E1%83%98%20%E1%83%AB%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%91.pdf

რუსეცკაია, ე. (2018, მაისი 6). გენდერული სტერეოტიპებით აზროვნება. (ს. გიორგაძე, Interviewer)

საბჭო, ე. (2009). *ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია.*

საბჭო, ს. უ. (1991). *ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია.*

საიმონ ფიშერი, ჯ. ლ. (2000). *კონფლიქტზე მუშაობა უნარჩვევები და სტრატეგიები (ქართული თარგმანი).*

სამინისტრო, ს. შ. (n.d.). *police.ge*. Retrieved from http://police.ge/files/pdf/9%20%E1%83%9D%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%20%E1%83%AB%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90%202007-2014--6%20%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94___.pdf

სამინისტრო, შ. ს. (n.d.). *shinagan-saqmeta-saministrom.piloce.ge*. Retrieved from http://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministrom-bolo-sami-tveshi-odjakhuri-danashaulis-braldebit-855-piri-daakava/11537

საქსტატი. (n.d.). *geostat.ge*. Retrieved from http://www.geostat.ge/?action=page&p_id=169&lang=geo

საღარაძე, ს. (2018, may 12). ქალებზე ძალადობა. (ს. გიორგაძე, Interviewer)

სუმბაძე ნანა, U. G. (2008). *გენდერი და საზოგადოება.* თბილისი.

სუხიშვილი, ს. (2018, 04 13). გენდერული თანასწორობა. (ს. გიორგაძე, Interviewer)

უზნაძე, დ. (2007). *განწყობის ფსიქოლოგია.* თბილისი: საქართველოს მაცნე.

ფირცხალავა, ე. (2008.). *ოჯახის წევრთა ურთიერთაღქმის თავისებურებანი.* თბილისი.

ფონდი, გ. მ. (n.d.). *ungeorgia.ge*. Retrieved from http://www.ungeorgia.ge/geo/search?que=%E1%83%9D%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%A8%E1%83%98+%E1%83%AB%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90&button=%E1%83%AB%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9C%E1%83%90#.W0e2etIzbIU

ფონდი, გ. ქ. (2015). *ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა საქართველოში.*

ფორუმი, მ. ე. (n.d.). *.ginsc.net*. Retrieved from http://www.ginsc.net/home.php?option=article&id=36382&lang=ge#.WsI3M4huaM8

ცენტრი, ქ. გ. (2002). *გენდერული პრობლემატიკა საქართველოში.* თბილისი.

წარმომადგენელი, ძ. დ. (2018, აპრილი 18). სტატისტიკური მონაცემები. (ს. გიორგაძე, Interviewer)

წერეთელი., მ. (2006). *გენდერი-კულტურული და სოციალური კონსტრუქტი.*

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Giorgadze Salome

The role of gender stereotypes in conflicts between a married couples

(On the example of village Kumisi)

Conflict analysis and management

The thesis is submitted for obtaining the Master of Arts in Conflicts

Supervisor: Professor Revaz Jorbenadze

Tbilisi

2018

დანართი N1. ცოლ-ქმარს შორის არსებულ კონფლიქტში, გენდერული სტერეოტიპების არსებობის საკვლევი კითხვარი.

მე ვარ სალომე გიორგაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, „კონფლიქტების ანალიზისა და მართვის“ მიმართულების დამამთავრებელი კურსის სტუდენტი. ვაკეთებ სამაგისტრო კვლევას თემაზე „ გენდერული სტერეოტიპების როლი ცოლ-ქმრულ წყვილთა შორის კონფლიქტებში (სოფელ კუმისის მაგალითზე)“

1) სახელი :

2) ასაკი :

3) ოჯახური მდგომარეობა:

- დაოჯახებული
- დასაოჯახებელი
- განქორწინებული
- ქვრივი

4) დასაქმება:

- დასაქმებული
- დაუსაქმებელი
- დროებით უმუშევარი

5) იცით თუ არა რას ნიშნავს გენდერული თანასწორობა ?

- დიახ
- არა

6) ემხრობით თუ არა გენდერულ თანასწორობას ?

- დიახ

- არა

7) თქვენთვის ოჯახი მერამდენე ადგილზე დგას ?

- პირველი
- მეორე
- მესამე
- ...მეტი

8) არჩევანის გაკეთების შემთხვევაში, ოჯახს აირჩევდით თუ კარიერას/სამსახურს ?

- ოჯახს
- კარიერას/სამსახურს
- ორივეს
- არცერთს

9) ვინ უნდა იყოს „ოჯახის მარჩენალი/შემომტანი“?

- კაცი
- ქალი
- ორივე

10) ვინ უნდა იღებდეს ოჯახში საბოლოო გადაწყვეტილებას ?

- კაცი
- ქალი
- ორივე

11) როგორ ფიქრობთ, „ცუდ ქორწინებაში“ ყოფნა ჯობს თუ დაუოჯახებლად ყოფნა ?

- „ცუდ ქორწინებაში“ ყოფნა
- დაუოჯახებლად ყოფნა
- არცერთი

12) ვისი მოვალეობაა შვილების მოვლა ?

- ქალი

- კაცი
- ორივე

13) შვილების აღზრდაში ჩართული უნდა იყოს

- ქალი
- კაცი
- ორივე

14) ვისი მოვალეობაა სახლის მოვლა/დალაგება ?

- ქალის
- კაცის
- ორივესი
- არცერთის

15) ემორჩილებით თუ არა მეუღლეს მაშინაც კი როდესაც მას არ ეთანხმებით ?

- თითქმის არასდროს
- იშვიათად
- ზოგჯერ
- ხშირად
- თითქმის ყოველთვ

16) ხშირად ფიქრობენ, რომ ქართველი ქალი უნდა იყოს მორჩილი ცოლი, დიასახლისი და დედა. ეთანხმებით თუ არა ამ მოსაზრებას ?

- დიახ
- არა

17) როდესაც ოჯახში ხშირია კონფლიქტი და ცოლ-ქმარი ერთმანეთს ვეღარ უგებს, რას ფიქრობთ განქორწინება გამოსავალია ?

- დიახ
- არა
- სხვა გზას ავირჩევდი : .....

18) აქცევთ თუ არა მეუღლის ჩაცმულობას ყურდღებას?

- დიახ
- არა
- იშვიათად

19) დართავდით თუ არა ნებას თქვენმა მეუღლემ გაიკეთოს ტატუ ან პირსინგი ?

- დიახ
- არა
- ტატუს კი, პირსინგს არა
- პირსინგს კი, ტატუს არა

20) მისაღებია თუ არა ატაროს თქვენმა მეუღლემ წვერი/ ბლანჟე ?

- არა
- დიახ

21) მიგაჩნიათ თუ არა დასაშვებად სექსუალური კავშირი ქორწინებამდე ?

- არა
- დიახ

22) უნდა არსებობდეს თუ არა ქალიშვილობის ინსტიტუტი ?

- დიახ
- არა

23) მიგაჩნიათ რომ სექსუალური კავშირის სურვილის არქონის შემთხვევაში მაინც უნდა დაემორჩილოთ მეუღლეს ?

- დიახ
- არა

24) მისაღებია თუ არა თქვენთვის მეუღლე იმყოფებოდეს და მუშაობდეს სხვა ქალაქში

- დიახ
- არა

25) როგორ ფიქრობთ, მშობიარობა ვის მიერ უნდა დაიგეგმოს ?

- ქალი
- კაცი

- ორივე

26) მისაღებია თუ არა თქვენთვის რომ ქალმა სიყვარული პირველად მამაკაცს აუხსნას ?

- დიახ
- არა

27) როგორ ფიქრობთ, ქალი უფრო წარმატებულია კარიერაში თუ კაცი ?

- ქალი
- კაცი
- ორივე
- არ აქვს მნიშვნელობა

28) როგორ ფიქრობთ, არის თუ არა ქალის ადგილი პოლიტიკაში ?

- დიახ
- არა

29) როგორ ფიქრობთ, როგორი სამსახური შეეფერება ქალს ?

- წყნარი/მშვიდი გარემო
- ნახევარ განაკვეთიანი სამსახური
- სრულ განაკვეთიანი სამსახური
- დაძაბული/აქტიური გარემო
- სადაც თავს კომფორტულად იგრძნობს

30) უნდა იჯდეს თუ არა ქალი საჭესთან ?

- დიახ
- არა

31) ვის ეპატიება ღალატი ?

- კაცს
- ქალს
- არცერთს
- ორივეს

32) რამდენად ხშირად დადიხართ გასართობად ?

- თითქმის არასდროს
- იშვიათად
- ზოგჯერ
- ხშირად
- თითქმის ყოველთვის

33) ძირითადად სად დადიხართ გასართობად ?

- ლუდის ბარი
- რესტორანი
- კლუბი
- სახინკლე
- კაფე/ბარი
- მეგობრების/ახლობლების სახლი